

ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე

მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

მუსიკა 6

მოსწავლის წიგნი

(პირველი ნაწილი)

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „წყაროსთვალი“

გამომცემლობა „კლიო“



ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე

მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

მუსიკა

VI კლასი, მოსწავლის წიგნი

(პირველი ნაწილი)

მუსიკალური რედაქტორები:
ირინე მიქაძე, მარინე დაფქვიაშვილი

ლიტერატურული რედაქტორები:
თამარ გუჯაბიძე, თეა პიტიურიშვილი

სანოტო ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მიხეილ ვანაძე, სოფო სალარაძე

ელექტრონული რესურსის უზრუნველყოფა,
ფონოგრამები და LMMS-ის აქტივობები – **მიხეილ ვანაძე**

მხატვარი – **ელენე ვარამაშვილი**

ყდის დიზაინი – **ირმა ლიპარტელიანი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ია გაბუნია**

© გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2018

© გამომცემლობა „კლიო“, 2018

© ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე,
მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-441-69-1

ISBN 978-9941-441-73-8

შპს „გამომცემლობა წყაროსთვალი“
გარე კახეთის. №4, თბილისი
მობ.: 599 76 10 39



შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2, თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

სარჩევი

● რეალობა და ჩვენი წარმოდგენები

1-2 კომპიუტერული თამაშები.....	6
3 მარიოს მუსიკალური ფრაზები.....	9
4 კომპიუტერული თამაში – „ანრაველი“	11
5 კომპიუტერული თამაში – „აბზუ“	13
6 მუსიკალური ასოციაცია – 1.....	14
7 მუსიკალური ასოციაცია – 2.....	15
8 სარეკლამო რგოლი.....	17

● ადამიანის პორტრეტი მუსიკაში

9 ინტონაცია	20
10 ამოიცანი ხმები	23
11 ინტონაციები დრამატულ და საოპერო თეატრში	26
12 ინტონაცია ხალხურ მუსიკაში	28
13-14 ნიმუშები ქართული პროფესიული მუსიკიდან	30
15 „მინდია“	32
16-17 მუსიკალური პორტრეტი. „სურათები გამოფენიდან“	35
18 ამოიცანი მუსიკალური პორტრეტი	37
19-20 „ავე მარია“	39
21-22 „კარნავალი“	44
23 რობერტ შუმანი – შემაჯამებელი გაკვეთილი.....	48

● მუსიკის როლი ხმოვან კინოში

24-25 მუსიკა კინოში – შესავალი	51
26-27 ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები –1	58
28 ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები –2	60
29 განასხვავე მუნჯი და ხმოვანი კინო.....	62
30 „შერეკილები“	65
31 სიმღერა ქართულ კინოში – შემაჯამებელი.....	67



● **მუსიკალური თეატრი – ოპერა და მიუზიკლი**

32 „აიდა“	69
33 „გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით“	73
34 შემსრულებელი მიუზიკლში.....	74
35 „პატარა უფლისწული“	76
36 საოპერო ხმები.....	78
37-38 „ვესტსაიდური ისტორია“	80
39-40 „ვერის უბნის მელოდიები“	82
41 „ოლივერი“	84
42-43 „მუსიკის ჰანგები“	86
44 ამოიცანი ხასიათი	88
45-46 „ქეთო და კოტე“	90
47-48 „სევილიელი დალაქი“	93
49 „ჯადოსნური ფლეიტა“	95
50 „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“	97
51 ორკესტრი	99
52 მუსიკალური ანტრაქტი და კულმინაცია	102
53 „დაისი“	105
54 მიუსადაგე ხმის ტემბრი – შემაჯამებელი გაკვეთილი.....	107
55 მუსიკალური ქუდი – შემაჯამებელი გაკვეთილი.....	108



პირობითი ნიშნები და მათი განმარტება



იმუშავე კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში



იმღერე



მოისმინე



დაიმახსოვრე



უპასუხე კითხვებს



უყურე ვიდეოს

კომპიუტერული თამაშები

პირველი კომპიუტერული თამაშები ამერიკელმა ფიზიკოსებმა ტომას გოლდსმიტმა და ესტლ რეი მანმა გამოიგონეს 1948 წელს. თამაშები იწერებოდა ახლად შექმნილი კომპიუტერებისათვის. დროთა განმავლობაში თამაშები დაიხვეწა, განვითარდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით დიდ წარმატებას 1978 წლისათვის იაპონიაში მიაღწია. შესაძლებელია თამაშები აღვიქვათ ვირტუალური ხელოვნების ერთგვარ დრამატულ ფორმად, რომელსაც ხუთი საკვანძო ელემენტი აქვს: სტილი, ფაბულა, გმირი, დეკორაცია და მუსიკა – ლაიტთემები. ამიტომაც თამაშებში, ისევე როგორც კინოფილმებსა თუ მულტფილმებში, განსაკუთრებულად დიდი დრო ეთმობა მუსიკას. იგი სრულად ავსებს თამაშის ვიზუალს, შინაარსს, მიჰყვება გმირის მოქმედებას და იქმნება სრულყოფილი პროდუქტი. თამაშებისათვის მსოფლიოს მრავალი კომპოზიტორი წერს მუსიკას. ზოგიერთი თამაშის მუსიკა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას სიმფონიური ორკესტრი და ცნობილი შემსრულებლები ასრულებენ. 2012 წელს აშშ-მა კომპიუტერულ თამაშებს ხელოვნების დარგის სტატუსი მიანიჭა და ნაციონალური კულტურის მონაპოვრად აღიარა.



ტომას გოლდსმიტი




ტომას გოლდსმიტი და ესტლ რეი მანი



1961 წელს შეიქმნა ერთ-ერთი პირველი კომპიუტერული თამაში „Spacewar“ – „კოსმოსური ომები“.

მოუსმინე თანხლებას და იმღერე სავარჯიშო. ჟღერადობას შეურჩიე შემდეგი სიტყვები: კეკლუცი, დინჯი, ლალი, მკვეთრი, რბილი.




კომპიუტერული თამაში „სუპერ მარიო“

მოცემულია კომპიუტერული თამაში „სუპერ მარიოს“ ორი სხვადასხვა ტურის ვიდეოფრაგმენტი უხმოდ.



უყურე ვიდეოს, მოუსმინე მუსიკას და მიუსადაგე ფოტოებს:





1. როგორი ხასიათისაა თითოეული ფრაგმენტის მუსიკა?
2. რა ჟანრისაა ეს მუსიკალური ფრაგმენტები?
3. რომელ ცეკვას გვახსენებს ერთ-ერთი თემა?
4. როგორი პერსონაჟია მარიო – მხიარული თუ სევდიანი? მოხერხებული თუ მოუხერხებელი?

„მარიოს“ მუსიკა დაწერა იაპონელმა კომპოზიტორმა კოძი კონდომ 1985 წელს. თავდაპირველად კომპოზიტორი ფიქრობდა, რომ „მარიოს“ ყველა ტურს ერთი და იგივე მუსიკალური თემა ქნებოდა, მაგრამ შემდგომში, დაწერა კიდევ ხუთი თემა. პირველი თემა დაწერილია დო მაჟორში ჯაზური მუსიკისათვის დამახასიათებელ რიტმში. კომპოზიტორის თქმით, თუ მუსიკა არ დაემთხვევა გმირის სირბილს, ხტუნვას და ამოვარდნილი იქნება თამაშის სიუჟეტიდან, ის გადააკეთებს ამ მუსიკალურ თემას! პირველ თემას, რომელიც დო მაჟორშია დაწერილი, **ხმელეთის თემა** (Ground theme) ეწოდება.



კოძი კონდო

მარიოს მუსიკალური ფრაზები

- რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.
დააკვირდი მოცემულ სურათს და გამოსახე მეტრი და რიტმი.



I ჯგუფი 



II ჯგუფი 



I ჯგუფი 



II ჯგუფი 



I ჯგუფი 



II ჯგუფი 




I ჯგუფი 




II ჯგუფი 



I ჯგუფი 




II ჯგუფი 



I ჯგუფი 



II ჯგუფი 





მოუსმინე მუსიკალურ ფრაზებს კომპიუტერული თამაშიდან „სუპერ მარიო“ და ამოიცანი გმირის სხვადასხვა მოქმედებები:

- თამაშის წაგება
- თამაშის მოგება
- გმირის ახტომა
- მონეტის მოპოვება



რა საერთო აქვთ თამაშის გამოსახულებასა და მუსიკის უღერადობას ერთმანეთთან? იმსჯელე და გამოხატე მოქმედებები გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამებით.



უყურე ვიდეოს, სადაც „მარიოს“ ლაიტთემებზე აგებულ კომპოზიციას ასრულებს სიმფონიური ორკესტრი.




კომპიუტერული თამაში – „ანრაველი“

➔ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

🎵 იმღერე და გაეცანი სამი სახის დო მაჟორსა და მის პარალელურ ლა მინორს.

დო მაჟორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



ლა მინორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



პერსონაჟი კომპიუტერული თამაშიდან „ანრაველი“ (Unravel).



დააკვირდი პერსონაჟს, ამოიცანი მისი ხასიათი, დაწერე ზღაპარი და შეურჩიე მუსიკა. შემდეგ, ამ მუსიკის ფონზე წაიკითხე შენი გამოგონილი ზღაპარი.



ასევე უყურე ვიდეოს და გამოთქვი შენი მოსაზრებები.



1. როგორი ხასიათისაა თამაშის გმირი?
2. დაემთხვა თუ არა შენ მიერ შექმნილი გმირი ნამდვილ გმირს?
3. როგორი მუსიკალური გაფორმებაა კომპიუტერულ თამაშში ილუსტრაციული თუ კონტრასტული?

კომპიუტერული თამაში – „აბზუ“

კლასელებთან ერთად იმდერე ინტერვალები, როგორც ერთ, ისე ორ ხმაში – სეკუნდები, სეპტიმები, ტერციები, სექსტები, პრიმები, კვარტები, კვინტები, ოქტავეები:



ინტერვალებს შეურჩიე სახელწოდებები: კეთილხმოვანი ანუ კონსონანსი, არაკეთილხმოვანი ანუ დისონანსი, გამჭირვალე ანუ წმინდა.

ამოარჩიე ინტერვალები და სანოტო რვეულში ჩაწერე მელოდია, რომელიც კომპიუტერულ თამაშში მოქმედი გმირის მოძრაობას ასახავს.

სიტყვა **აბზუ (Abzu)** აღებულია შუმერული მითოლოგიიდან და ნიშნავს ქაოსს, საიდანაც ცა და დედამიწა წარმოიშვა. ამ თამაშისათვის მუსიკა დაწერა ამერიკელმა კომპოზიტორმა **ოსტინ ვინტორმა**.



ოსტინ ვინტორი



მოუსმინე მუსიკას და შენი ასოციაციით დახატე გმირი.



უყურე ვიდეოს და უპასუხე კითხვებს:





1. სად ვითარდება თამაში?
2. რა ჟანრისაა ეს თამაში – მძაფრსიუჟეტის თუ სათავგადასავლო?
3. როგორია თამაშის ტემპი?

დააკვირდი ვიდეოს და გაიაზრე, რამდენად დაემთხვა შენ მიერ წარმოსახული გმირი ვიდეოგმირს.

მუსიკალური ასოციაცია – 1

იმღერე სამხმოვანები კლასელებთან ერთად, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ წყობაში. გაიხსენე, რას ნიშნავს სიტყვა უნისონი.



შეარჩიე სამხმოვანების ჟღერადობის დასახასიათებლად შემდეგი სიტყვები: კეთილხმოვანი – კონსონანსი, არაკეთილხმოვანი – დისონანსი, მაჟორული ან მინორული.

მოცემულია სამი სხვადასხვა ჟანრის კომპიუტერული თამაში: Age Of Mythology („მითოლოგიური ერა“), Samorost („სამოროსტი“), Old Man's Journey („მოხუცის მოგზაურობა“).



მოუსმინე ამ თამაშების საუნდტრეკებს და მიუსადაგე ფოტოებს ხასიათის მიხედვით.



1. როგორი ხასიათისაა თითოეული თამაშის მუსიკა?
2. როგორ გადმოსცემს მუსიკა თამაშის შინაარსს, მათ გმირებს?
3. ამოიცანი, როგორია მუსიკალური გაფორმების სახეები, ილუსტრაციული თუ კონტრასტული?

მუსიკალური ასოციაცია – 2

იმღერე სამი სახის სოლ მაჟორი და მისი პარალელური მი მინორი. ამ ტონალობაში შექმენი საყვარელი კომპიუტერული თამაშისთვის მელოდია და ჩაწერე სანოტო რეგულში.

სოლ მაჟორი


ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდირი



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



მი მინორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდირი



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



მოცემულია სამი სხვადასხვა კომპიუტერული თამაში: **The Last Of Us** („უკანასკნელი ჩვენთაგანი“), **GTA V** („ავტომობილების გატაცება V“), **The Stanley Parable** („სტენლის იგავი“).



მოუსმინე ამ თამაშების საუნდტრეკებს და მიუსადაგე ფოტოებს ხასიათის მიხედვით.



1. როგორი ხასიათისაა თითოეული თამაშის მუსიკა?
2. როგორ გადმოსცემს მუსიკა თამაშის შინაარსს და მათ გმირებს?
3. ამოიცანი, როგორია მუსიკალური გაფორმების სახეები: ილუსტრაციული თუ კონტრასტული?



აარჩიე მოცემული კომპიუტერული თამაშებიდან მუსიკალური თემები, გადააქციე სემპლებად და შეადგინე მუსიკალური კოლაჟები.

სარეკლამო რგოლი

შექმენი სარეკლამო რგოლები კომპიუტერული თამაშებისთვის.

რეკლამა (reclamo) – ლათინური სიტყვაა და ყვირილს ნიშნავს. რეკლამა არის ინფორმაცია, განკუთვნილი ფართო მასებისთვის, რათა მიიპყროს ადამიანთა ყურადღება და გაუღვივოს ინტერესი სარეკლამო საგნის მიმართ, შეუქმნას გარკვეული განწყობა. რეკლამას უკეთებენ ახლადგადაღებულ ფილმებს, სპექტაკლებს, კონცერტებს, სპორტულ თამაშებს და ნებისმიერ პროდუქციას. რეკლამა ვრცელდება ტელევიზიით, რადიოთი, ჟურნალ-გაზეთებით, ბანერების მეშვეობით და სხვა სარეკლამო რგოლები გარკვეული სიხშირით მუდმივად გადის ეთერში, რაც სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანებზე: ზოგს ძალიან მოსწონს, ზოგს კი – პირიქით. პირველი სატელევიზიო რეკლამა ეთერში გავიდა აშშ-ში, 1941 წელს. ხოლო პირველი სარეკლამო გმირი, რომელიც მთლიანად კომპიუტერის მეშვეობით XX საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა, არის თეთრი დათვი, რომელიც კოკა-კოლას მიირთმევს.



სატელევიზიო და ინტერნეტ-რეკლამებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას, ისევე როგორც კომპიუტერულ თამაშებში. მათი შემქმნელები მუსიკალური გაფორმების სხვადასხვა ხერხსა და ფორმას იყენებენ: ილუსტრაციულს, კონტრასტულს, სიუჟეტურს. მუსიკალური ლაიტთემებისგან შემდგარი კოლაჟები განსაკუთრებულად ფერადოვანსა და ეფექტურს ხდის მათ.



უყურე ორ ვიდეორგოლს და ამოიცანი ნაცნობი მუსიკალური ნაწარმოები.



LMMS-ის პროგრამაში შექმენი სარეკლამო რგოლები.

აირჩიე კომპიუტერული თამაშებიდან: „მარიო“, „აბზუ“, „ანრაველი“ მუსიკალური ფრაზები და შექმენი მუსიკალური კომპოზიცია LMMS-ს პროგრამაში. შეადგინე სარეკლამო ტექსტი კომპიუტერული თამაშებისთვის, გააფორმე მუსიკალური კოლაჟით და შექმენი სარეკლამო რგოლი.

დაამზადე რეკლამა სიმღერისათვის „Yellow Submarine“ („ყვითელი წყალქვეშა ნავი“) და რეკლამისათვის გამოიყენე ამავე სახელწოდების ანიმაციური ფილმი, რომელიც წყალქვეშა ნავზეა გადაღებული.

YELLOW SUBMARINE

ტექსტი და მუსიკა:
ჯონ ლენონისა და პოლ მაკარტნის

In the town where I was born,
Lived a man who sailed to sea,
And he told us of his life,
In the land of submarines,

So we sailed on to the sun,
Till we found the sea green,
And we lived beneath the waves,
In our yellow submarine,

მისამღერი:
We all live in yellow submarine,
yellow submarine, yellow submarine,
We all live in yellow submarine,
yellow submarine, yellow submarine.

And our friends are all aboard,
Many more of them live next door,
And the band begins to play.

მისამღერი:
We all live in yellow submarine . . .

As we live a life of ease
Everyone of us has all we need,
Sky of blue, and sea green,
In our yellow submarine.

მისამღერი:



სიმღერა – “Yellow Submarine”
– „ყვითელი წყალქვეშა ნავი“ გამ-
ოყენებულია ამავე სახელწოდების
ანიმაციურ ფილმში. სიმღერას
ასრულებს „ბითლზის“ წევრი
რინგო სტარი, რომელიც ამავე
დროს, დასარტყამ საკრავებზე
უკრავდა.



რინგო სტარი



● ამოიცანი სიმღერა სანოტო ჩანაწერის მიხედვით.

YELLOW SUBMARINE

4

In the town _____ where I was born lived a man _____ who sailed to

4

sea, And he told _____ us of his life in the land _____ of sub - ma -

8

8

rines so we sailed _____ on to the sun till we found _____ the sea of



ინტონაცია

მუსიკაში მხატვრულ სახეს, ხასიათსა თუ პორტრეტს ყველაზე ზუსტად და უშუალოდ გამოხატავს ინტონაცია, კონკრეტულად კი მუსიკალური ინტონაცია.

ინტონაცია ლათინური სიტყვაა და გარკვევით, ხმამაღლა წარმოთქმას ნიშნავს. ამ სიტყვაში ვგულისხმობთ გრძნობებითა და განცდებით აღსავსე გამომსახველ გამოთქმას, სიტყვას. ბევრი საერთო აქვთ სამეტყველო და მუსიკალურ ინტონაციებს. ისინი შეიძლება დავახასიათოთ ისეთი სიტყვებით, როგორიცაა: თბილი, ალერსიანი, სევდიანი, სასიხარულო, დიდებული და ა. შ. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მუსიკის ინტონაციები ადამიანის მეტყველებაზე ბევრად უფრო მრავალფეროვანი, მდიდარი, ღრმა და ფაქიზია. მუსიკალურ ინტონაციას შეუძლია გრძნობებისა და განცდების ისეთი ფაქიზი ელფერის გადმოცემა, რასაც სიტყვით ვერ გადმოვცემთ.

მუსიკალური ინტონაციის გამომსახველობის წყალობით განვასხვავებთ ხალხურ მუსიკას პროფესიულისგან, ქართულს – უცხოურისაგან, ძველებურს – თანამედროვესგან. მუსიკის ინტონაციური ბუნება გვაძლევს საშუალებას, შევიგრძნოთ და განვასხვავოთ სხვადასხვა კომპოზიტორთა მუსიკალური ენის თავისებურებანი. მეორეს მხრივ, ზოგჯერ მეტყველება ისე მუსიკალურად ჟღერს, ისე დამაჯერებელია მასში პაუზები, აქცენტები, ისე ზუსტადაა გამოკვეთილი სიტყვები, თითქოს სადაცაა მელოდიად იქცევაო.

წაიკითხე ლექსები შინაარსის შესაბამისი ინტონაციით. აქციე სიტყვა მუსიკად. გაიმღერე, შექმენი სიმღერა და წარუდგინე შენს მეგობრებს.

იას უთხარი ტურფასა

იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია, სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.

ვაჟა-ფშაველა

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბალში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

ილია ჭავჭავაძე

შეარჩიე რომელიმე ლექსი, წაიკითხე განწყობისა და ხასიათის შესაბამისად. შეურჩიე კონკრეტულ ლექსს რომელიმე ინსტრუმენტული ნაწარმოები და მის ფონზე წაუკითხე ლექსი. რომელ ლექსზე შეთხზავდი მელოდიას, სიმღერას?

დააკვირდი ფოტოებს, ამოიცანი ემოცია და გაახმოვანე ინტონაციურად.



იმღერე სამი სახის ფა მაჟორი და მისი პარალელური რე მინორი. ამოარჩიე ბგერები შექმენი მოტივი, ჩანერე სანოტო რვეულში და სხვადასხვა ინტონაციით უმღერე კლასელებს.

ფა მაჟორი


ბუნებრივი



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



რე მინორი

ბუნებრივი




პარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



ამოიცანი ხმები

➔ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

🌟 გაიმღერე მელოდია, თვალი მიადევნე სანოტო ჩანაწერს. ამოიცანი ინტერვალი, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება. სავარჯიშოში ისმის: აღმოსავლური კილო, თუ ჩინური პენტატონიკა?

🌟 იმღერე სავარჯიშო სხვადასხვა განწყობით:

1. მხიარულად და ენერგიულად;
2. ლაღად და მღერადად.



ამოიცანი ადამიანთა ხმები.




ყურადღებით მოუსმინე ცნობილი ადამიანების ხმის ჩანაწერებს, მათთან ინტერვიუების ფრაგმენტებს. ისაუბრე მათ ინტონაციაზე, საუბრის ტემპსა და მანერაზე.

შეარჩიე განსაზღვრების წყვილის ხმების დასახასიათებლად.

- | | |
|--------------------------------|-----------------------------|
| 1. ა) მხიარული და ენერგიული; | ბ) სევდიანი და მოდუნებული; |
| 2. ა) სათნო და ნაზი; | ბ) ცბიერი და უხეში; |
| 3. ა) პოეტური და ემოციური; | ბ) არაგულწრფელი და ცივი; |
| 4. ა) მგრძნობიარე და მღელვარე; | ბ) ფუქსავატი და ზედაპირული; |
| 5. ა) იუმორით სავსე და კეთილი; | ბ) მკაცრი და სერიოზული; |
| 6. ა) მოწოდებითი და მჭექარე; | ბ) დაღლილი და სუსტი. |



მოუსმინე აუდიოჩანაწერს, ხმის მიხედვით ამოიცანი გამოჩენილი ადამიანები. მათი ხმა მიუსადაგე ფოტოებს.



თუკი ყურადღებით მოვუსმენთ ნებისმიერ საუბარს, შევამჩნევთ, რომ ჩვენი მეტყველება ერთ სიმაღლეზე როდი ჟღერს; შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე იგი ხან მაღლდება, ხან – დაბლდება. ამგვარად, იცვლება ჩვენი მეტყველების, ანუ ჩვენი ლაპარაკის ინტონაცია.

სალაპარაკო ინტონაცია – ეს არის მეტყველების დროს, ჩვენი ხმის გამომსახველი ამაღლება ან დადაბლება.

ზოგიერთი ინტონაცია შეიძლება წერიტაც გამოვხატოთ და ამისთვის, გამოვიყენოთ სხვადასხვა სასვენი ნიშანი: წერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი. აქედან გამომდინარე, გვაქვს სამეტყველო ინტონაციის სამი სახე:

1. თხრობითი, მტკიცებითი – ეს არის მშვიდი ინტონაცია და წერის დროს მას წერტილს დავუსვამთ .

გათუნდა ●

2. კითხვითი ინტონაცია ?

გათუნდა ?

3. ძახილის ინტონაცია !

გათუნდა !

წარმოთქვი ეს წინადადებები სამივე სახის ინტონაციით:

ა) „დავითი ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე იყო“.

ბ) „ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ პირველი ქართული ოპერაა, რომელშიც ღირსეული ასახვა ჰპოვა ვაჟა-ფშაველას პოეტურმა სახეებმა“.

რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოებიდან შეარჩიე რამდენიმე თხრობითი წინადადება და წაიკითხე სამი ტიპის ინტონაციით. როგორ შეცვალა წინადადების შინაარსი განსხვავებულმა ინტონაციამ?

ერთი და იგივე წინადადება წარმოთქვი სხვადასხვა ხასიათის ინტონაციით: მხიარულად, სევდიანად, მრისხანედ, ემოციურად. იმსჯელე, რამდენად შეცვალა წინადადების შინაარსი განსხვავებული ხასიათის ინტონაციით წარმოთქმამ?

ამოიცანი ემოციები და გაახმოვანე. გრაფიკული ხაზით გამოხატე ინტონაციების სიმაღლე.



 ჩაწერე ემოციების გამომხატველი ინტონაციები, გადააქციე სემბლებად, შეიყვანე კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამა – LMMS-ში და შექმენი ემოციების პატარა კოლაჟი.

ინტონაციები დრამატულ და საოპერო თეატრში

აქვს თუ არა სიმაღლე ინტონაციას? იზომება თუ არა ინტონაცია?

დრამატულ თეატრში მსახიობები თავიანთ ტექსტებს ინტონაციებით გადმოგვცემენ, რომელთა სიმაღლე ზუსტად არ განისაზღვრება. ოპერაში კი მომღერალი იყენებს მუსიკალურ ინტონაციებს, რომლის სიმაღლე ზუსტადაა განსაზღვრული.

მთავარი განსხვავება მუსიკალურ და სალაპარაკო ინტონაციებს შორის ისაა, რომ მუსიკალური ინტონაციის ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელია. ამ ინტონაციის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, ხდება ინტერვლებით. გაიხსენე, რა არის ინტერვალი და დაასახელე ისინი.

ინტერვალი ხომ მანძილია სხვადასხვა სიმაღლის ორ ბგერას შორის. სწორედ ინტერვლებით იზომება მუსიკალური ინტონაცია. სიმღერის დროს მასწავლებელი გთხოვთ, ზუსტად და სუფთად გაიმღეროთ ინტონაცია, ანუ ზუსტად გადახვიდეთ ერთი ბგერიდან მეორეზე.

შეიძლება ითქვას, რომ ინტონაცია მუსიკალური ენის საფუძველია. თუ ცალკეულ ბგერებს არ დავალაგებთ და არ ვაქცევთ სიტყვებად, ვერ მივიღებთ სალაპარაკო ენას, ასევე, სანამ ბგერები არ იქცევა მუსიკალურ ინტონაციებად, მანამდე არ შეიქმნება მუსიკაც.

ამოიცანი, რა სიმღერაა. განსაზღვრე, რა ინტერვლებზეა აგებული ფრაზების სანწყისი ინტონაციები.



იპოვე მუსიკალურ ფრაგმენტებში გარკვეული ინტონაციები და ისინი ინტერვალთა ალნიშნე.



მოისმინე ფრაგმენტები შემდეგი ნაწარმოებებიდან და განსაზღვრე სანწყისი ინტონაციები, რა ინტერვლებზეა სვლა.

1. ჯ. ვერდი. ოპერა „აიდა“, ეგვიპტელთა მარში,
2. ჯ. ვერდი. ოპერა „ტრავიატა“, „სუფრული“,
3. ლ. ვან ბეთჰოენი. სიმფონია №5, პირველი ნაწილი.

Symphony No.5
C minor Op. 67
Ludwig van Beethoven (1770-1827)

♩ = 130



ლუდვიგ ვან ბეთჰოენი

Grand March from *Aida*

Giuseppe Verdi

Tempo di marcia



სცენა ოპერიდან „აიდა“



სცენა ოპერიდან „ტრავიატა“

Style: Waltz
Voice: Piano
♩ = 150

LA TRAVIATA (FACILITADA)

G. Verde

To Coda



ჯუზეპე ვერდი

დავალება:

- მოძებნე სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებში ინტონაციები.
- შეადგინე სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციებიდან რაიმე მცირე მელოდია და შეეცადე, ჩაწერო იგი ნოტებით.
- შექმენი საკუთარი ინტონაცია და ჩაწერე.

ინტონაცია ხალხურ მუსიკაში

განუმეორებელი თავისებურება აქვს ხალხური სიმღერის ყველა ჟანრს. ესაა დამახასიათებელი ინტონაციები, რიტმი, კილოური შეფერილობა, ფორმა, შესრულების მანერა, რის მიხედვითაც განვასხვავებთ ერთმანეთისაგან იავნანასა და შრომის სიმღერას, საფერხულოსა და ლირიკულს და ა.შ.

ნაიკითხე ქართული ხალხური სიმღერების ტექსტები სხვადასხვა ინტონაციით. მაგალითად, „მამლი მუხასა“, „მოდო, ვნახოთ ვენახი“, „კირია ლესა“, „შინა ვორგოლ“, „ახ, ლაზარე, ლაზარე“, „მუმლი მუხასა“, „ჭონა“, „ჩონგური“ და სხვა.

1. მხიარულად;
2. ენერგიულად;
3. მგრძნობიარედ;
4. გაბმულად, ღირიკულად;
5. მტკიცედ;
6. მღერადად;
7. იღუმალეებით;
8. შეპარვით.



1. როგორ იცვლება თქვენი ინტონაცია სიმღერის ხასიათიდან გამომდინარე?
2. გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით გამოხატე ინტონაციები.
3. წარმოდგენილი სიმღერებიდან ამოარჩიე ერთ-ერთი და იმღერე შესაბამისი ხასიათით.

ჩონგური
მეგრული სიმღერა

ასე ჩონგური ქოვთქუათუ-ნა,
სქანი დო ჩქიმი გაჭირება-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და
ჩონგურ სი მუ შეგილებუ-და,
ვეგიგადვე განჩინება-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და

დუდი ოყვილარი მაფუ-და
საქმექ თეში გინმართუ-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და.
უბედური ჩქიმი დუსუ-და,
ირფელ ჭუა ჩქიმდა მურსუ-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და.



საქართველოს რომელი კუთხის საკრავია ფანდური? ჩონგური? რამდენი სიმი აქვს ფანდურს? ჩონგურს?

● იმდერე და გამოიცანი, რა სიმდერაა.



ეს საინტერესოა:

„ნინწყაროს“ მგალობელი შაშვი

1975 წელი, ესპანეთი. ქალაქი ვიგო. ხანგრძლივი გასტროლისა და კონცერტების შემდეგ ანსამბლი რუსთავი მორიგი კონცერტისათვის ემზადებოდა.

აი, რას იხსენებს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი: „ვიგო ლამაზი ზღვისპირა ქალაქია. სცენა მოწყობილი იყო ულამაზეს დიდ პარკში, ღია ცის ქვეშ. კულისები და უკანა ფარდა გაეკეთებინათ სუროსა და ზეთისხილის რტოებისგან, ხოლო უზარმაზარი სცენა ჩაფლული იყო პალმებსა და ჭადრებში, რომელთა ტოტებზე დამაგრებული იყო ხმის დიდი გამაძლიერებლები. კონცერტის დაწყების წინ, შაშვა გალობა დაიწყო, რამაც „ჩვენი საკონცერტო დარბაზი“ კიდევ უფრო ეგზოტიკური გახდა. მერე შაშვის გალობა შეწყდა და ტყის იდუმალი სიჩუმე ჩამოწვა. ეს შთაბეჭდილება გაძლიერდა, როცა ჰამლეტ გონაშვილმა „ნინწყარო“ წამოიწყო, მას შაშვი „გამოეხმაურა“ გალობით, თითქოს ხმას უწყობსო ჩვენს მგალობელს. ეს ფაქტი იმდენად მომხიბლავი იყო, რომ ანსამბლის წევრებს გაუჭირდათ სიმღერა. მათ არ სურდათ, დაერღვიათ ეს დიდებული დუეტი. კონცერტს 16 000 მაყურებელი ესწრებოდა და სულგანაბული ადევნებდა თვალყურს ამ საკვირველ სანახაობას“.



ჰამლეტ გონაშვილი



ანსამბლი „რუსთავი“



ქართული ხალხური სიმღერა „ნინწყარო“.

მამაკაცთა ხმები სიმაღლის მიხედვით იყოფა:

1. ტენორი – მაღალი ხმა;
2. ბარიტონი – საშუალო ხმა;
3. ბანი – დაბალი ხმა;

ხმის რომელი ტემბრი ჰქონდა ჰამლეტ გონაშვილს?

ნიმუშები ქართული პროფესიული მუსიკიდან

ნაიკითხე ლექსი ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ ლიბრეტოდან – კიაზოს მიმართვა ხალხისადმი და ილია ჭავჭავაძის ლექსი „გუთნისდედა“.



ფრაგმენტები ოპერიდან „დაისი“



მოუსმინე ფრაგმენტებს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ – კიაზოს მიმართვა ხალხისადმი და გუნდი „თავისუფლება“. გაიაზრე, როგორ გადმოსცა კომპოზიტორმა ლექსის შინაარსი, განწყობა და ემოცია.

აღნიშნე ლექსში ის ადგილები, სადაც მუსიკა მკვეთრად იცვლება.

კიაზოს მიმართვა ხალხისადმი ოპერა „დაისიდან“

თავდაპირველად მიიღეთ
ჩემი გულწრფელი სალამი,
ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა
მალლა გეჭიროთ ალამი.
მტერსა ურჯულოს, თავხედსა
გადმოულახავს ბარია,
გაუთელია ჯეჯილი,
დაუნვავეს ეზო-კარია.
ნუ დავთმობთ თავისუფლებას
ჩვენი ცოცხალის თავითა,
აღდგება ხალხი გულადი
თავის ძლიერი მკლავითა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მოითხოვს ჩვენსა დიადსა,
და ჩვენი მკლავით შევმუსრავთ
კარზე მომდგარსა წყვილიადსა.
შევხედეთ და შევირაზმოთ
ვაჟკაცის სულის ვალადი,
მოგვექონდეს დროშა ფერადი,
აბჯარი რკინა-ფოლადი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი.



ზაქარია ფალიაშვილი

აღმოაჩინე ამ ფრაგმენტში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა.

გუთნისდედა

„გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო“.
ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მინა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვანწინოთ
და შრომის ოფლი მინას ვანწიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მინას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მინა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავინყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...



ილია ჭავჭავაძე

ი. ჭავჭავაძე



ნიკო სულხანიშვილი – აკაპელა „გუთნური“.

წაიკითხე ილია ჭავჭავაძის ლექსი, მოუსმინე ნიკო სულხანიშვილის გუნდს და იმსჯელე, როგორ არის ასახული ლექსის შინაარსი, ხასიათი და განწყობა მუსიკაში. სალაპარაკო და მუსიკალური ინტონაციების დასახასიათებლად გამოიყენე სიტყვები: სიხარული, მწუხარება, სევდა, თანაგრძნობა, სიმშვიდე, აღტაცება.

შეადარე ნიკო სულხანიშვილის „გუთნური“ და მეგრული ხალხური სიმღერა „ჩელა“. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?



ნიკო სულხანიშვილი

ჩელა

მეგრული

აშო ჩელა, ვიშო მუსკა,
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.
სი მონობაშ გეგაფილი,
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.

მისამღერი:

ო, ოუ ნანა, ნანა
ოუ ნანა, სკანი ცოდა, ნანინა

სი უჩონჩხე, სი უგურე,
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.
სი კისერი ელაფირი.
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.

მისამღერი:

ო, ოუ ნანა, ნანა...

მეურმე თავის დარდსა და ფიქრებს უზიარებს ხარებს – ჩელას, მუსკას.
შეადარე ეს ორი სიმღერა ერთმანეთს, – აღნიშნე მსგავსება და განსხვავება.


მინდია

► რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.

● იმდერე სამი სახის რე მაჟორი და მისი პარალელური სი მინორი. ამ ტონალობებში გამოიგონე მელოდიები, რომლითაც სხვადასხვა პორტრეტს შექმნი.

რე მაჟორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში




სი მინორი

ბუნებრივი




ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში



ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ პირველი ქართული ოპერაა, რომელშიც ღირსეული ასახვა ჰპოვა ვაჟა-ფშაველას პოეტურმა სახეებმა.

ოპერის შინაარსი. ...დიდი ხნის განშორების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება მინდია, რომელმაც დიდი გამოცდილება მიიღო წლების მანძილზე. დაბრუნებისას შეიტყობს, რომ მისი საცოლის დაცვისას, ჩალხიასთან ერთაბძოლაში დაეღუპა ძმა. ტრადიციების მიხედვით, ახლა მინდიამ უნდა იძიოს შური. მინდია თავდაპირველად უარს ამბობს სისხლის აღებაზე, მაგრამ თანასოფელთა დაჟინებით, იძულებული ხდება, უღალატოს საკუთარ პრინციპებს, საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, იგი კლავს ჩალხიას, რითაც იცავს ადათ-წესებს, მაგრამ არღვევს ბუნების კანონს. ბუნებაც ზურგს აქცევს მას და სასონარკვეთილი მინდია თავს იკლავს. ახალა ხვდებიან თანამემუღენი მინდიას კეთილშობილებას. ოპერა მთავრდება ეპიკური, ამალღებული ხასიათის საგუნდო სცენით, რომელშიც ნაწარმოების დედააზრია გადმოცემული. ეს დედააზრი კი ავტორთა მიერ ასეა განსაზღვრული: „არავისა აქვს უფლება, ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, თუ ის განსაცდელს არ უმზადებს სამშობლოს“.



ვაჟა ფშაველა



ოთარ თაქთაქიშვილი



სცენა სპექტაკლიდან „მინდია“

ნაიკითხე ფრაგმენტი ვაჟა-ფშაველას ლექსიდან „ღამე მთაში“.

ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!
ეხლა ცა წყნარობს... სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება.“

ნაიკითხე და აქციე მუსიკად.

ღამე მთაში

დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდენ, დასხდენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოდის თავზედა.



მოისმინე სამი ფრაგმენტი ოპერიდან „მინდია“:

- საორკესტრო შესავალი – ლექსს კითხულობს გურამ სალარაძე.
- მინდიას არია პირველი მოქმედებიდან.
- დასკვნითი გუნდი ოპერის ეპილოგიდან.

მოისმინე და იმსჯელე. რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ფრაგმენტებს შორის. დაახასიათე თითოეული მათგანი.

სამშობლოს

ტექსტი: მორის ფოცხიშვილის

მუსიკა: გურამ ბზვანელის

გაიღვიძებს ია და
აენთება სოსანი,
ამღერდება ბუღბული
გაზაფხულის მგოსანი.

მისამღერი:

აფრინდება ტოროლა
ლამაზი და თავნება,
თვალს შევავლებ სამშობლოს
და გულს გაუხარდება.

შველი კისერს იღერებს
ღრუბლის ფთილა წყალდება,
ცისკრის ჩანგზე ვამღერებ,
დედას გაუხარდება.

მისამღერი:

იყვავილებს მთა-ბარი
იებად და ვარდებად,
სამშობლოზე ვიმღერებ,
ყველას გაუხარდება.



🎵 იმღერე და ამოიცანი ინტერვალები, დაადგინე ტონალობა.



მუსიკალური პორტრეტი. სურათები გამოფენიდან

მუსიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციას. განსაკუთრებულია მისი როლი მუსიკალური დახასიათების, პორტრეტის შესაქმნელად.

რა არის პორტრეტი? ეს ხომ ადამიანის, მისი სახის გამოხატვა.



მოუსმინე რამდენიმე პიესას მ. მუსორგსკის საფორტეპიანო ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“: „ჯუჯა“, „ორი ებრაელი – მდიდარი და ღარიბი“, „ტიულირიის ბაღი“, „ლიმოჟის ბაზრობა“, „კუდიანი დედაბერი“ და „გამოუჩეკავი წინილების ბაღეტი“.



მოდესტ მუსორგსკი



ვიქტორ ჰარტმანი



გამოფენა



- როგორი ხასიათისაა ეს პიესები? რომელია მათგან მუსიკალური პორტრეტი?
- რა თვისებები აქვს ამა თუ იმ პერსონაჟს? მხიარული, სევდიანი, ენერგიული, მტკიცე, ძლიერი, სუსტი, სასტიკი, უხეში, კეთილი, მშვიდი, მშფოთვარე და ა.შ.
- როგორი ხასიათისაა მელოდია – გაბმული, მღერადი თუ რეჩიტატიული?
- როგორია ამ განსხვავებული პიესების ტემპი: ნელი, ზომიერი თუ ჩქარი?
- როგორია კილო: მაჟორული თუ მინორული?
- როგორ შეიძლება მოცემული მუსიკალური პორტრეტების სხვადასხვა სიმბოლოთი ჩანერა?
- მოსმენილი პიესებიდან ამოარჩიე ერთ-ერთი პერსონაჟი და შენი წარმოდგენით დახატე მისი პორტრეტი.



„ორი ებრაელი: მდიდარი და ღარიბი“



გამოუჩეკავი წინილები



საათი. ქოხი ქათმის ფეხებზე

მ. მუსორგსკიმ უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის, ნიჭიერი მხატვრისა და არქიტექტორის, ვ. ჰარტმანის ნამუშევრების მიხედვით შექმნა ათი ვირტუოზული სახასიათო პიესა, რომელთაც აერთიანებს „გასეირნების თემა“. პიესებს შორის ვხვდებით სცენებს რეალური ცხოვრებიდან, ზღაპრულ სახეებს, წარსულის სურათებსა და არქიტექტურულ პროექტს. სასიძლო ტიპის მელოდია გვხვდება პიესებში: „გასეირნება“, „გოლიათური კარიბჭე“, „ძველი სასახლე“, „ბიდლო“ (მძიმე ურემი). სამეტყველო ინტონაციებით კი „ორი ებრაელის“ პერსონაჟები ხასიათდებიან. ამგვარი ინტონაციები გვხვდება „ჯუჯასა“ და „ტიულირიის ბალშიც“. ცხოვრების ნათელი ზღაპრული მხარეები ასახულია სკერცოზულ პიესებში: „ტიულირიის ბალი“, „ლიმოჟის ბაზრობა“ და „გამოუჩეკავი წინილების ბალეტი“.

იმდერე გამები ბუნებრივი დო მაჟორი, ქრომატიული დომაჟორი და ჩინური კილო პენტატონიკა. იმსჯელე, რომელ კილოში თუ ბგერათა წყობაში შექმნიდი მელოდიას, რომელიც ჩინური სახლების – პაგოდების სურათას გვიხატავს.




ჩინური პაგოდა

ამოიცანი მუსიკალური პორტრეტები

იმღერე სამი სახის სი ბემოლი მაჟორი და მისი პარალელური რე მინორი. ამ ტონალობებში გამოიგონე მელოდიები, რომლითაც სხვადასხვა პორტრეტს „დახატავ“.

სი ბემოლ მაჟორი

ბუნებრივი




ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადანწყვეტა მყარში




სოლ მინორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



გადიდებული ინტერვალები და მათი გადანწყვეტა





მოუსმინე მუსიკას, ამოიცანი ნაცნობი პერსონაჟები და მიუსადაგე ფოტოებს.



1. რომელია მათგან რეალური და რომელი ზღაპრული სახე?
2. როგორი ინტონაციებით არიან დახასიათებულნი ეს გმირები? როგორია მათი დამახასიათებელი მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი?
3. თუ პიესა საორკესტროა, რომელ საკრავს იყენებს კომპოზიტორი ამა თუ იმ სახის შესაქმნელად? გაიხსენე, რა არის ჰარმონია და ტემბრი.





„ავე მარია“

ლვთისმშობლის სახე ზეციურ, ამაღლებულ სამყაროსთან არის დაკავშირებული, იგი ადამიანებში მშვენიერებისა და მარადიულ გრძნობებს აღვიძებს.



მოისმინე რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ლვთისმშობელს ეძღვნება: ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, ჯ. კაჩინის „ავე მარია“, ბახ-გუნოს „ავე მარია“, ფ. შუბერტის „ავე მარია“.

ა) შენი აზრით, რა აქვთ საერთო ამ სიმღერებს?

აირჩიე განსაზღვრებები: სადღესასწაულო, მშვიდი, ამაღლებული, უმფოთველი, მღელვარე, მთრთოლვარე, სიხარული, სიყვარული, სინაზე, უსასრულობა.

ბ) დააკვირდი წიგნში წარმოდგენილი ლვთისმშობლის განსხვავებულ ფოტოებს და თითოეულს შესაბამისი მუსიკა მიუსადაგე – ქართული და უცხოური.

გ) გაიხსენე და შესაბამისი ინტონაციით წაიკითხე ლვთისმშობლისადმი მიძღვნილი რომელიმე ლექსი.



რაფაელი. „მადონა ყრმით“



ხატი „შენ ხარ ვენახი“



რაფაელი „სიქსტის მადონა“



Ave Maria – (ლათ. – გიხაროდენ, მარიამ!) – ლვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელია.

„ლვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ! მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ-თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვე სულთა ჩვენთა“

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ამ ტექსტზე, ძალიან ბევრი ლამაზი მუსიკალური ნაწარმოები აქვს დაწერილი სხვადასხვა დროის ცნობილ ევროპელ კომპოზიტორებს. ფორტეპიანოსა და ხმისათვის, ვოკალისათვის შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ულამაზესი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები „ავე მარია“ კი ეკუთვნის რომანტიკული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელს ავსტრიელ კომპოზიტორს ფრანც შუბერტს (1797-1828 წწ.). თავდაპირველად, კომპოზიტორმა ამ მელოდიას ინგლისელი პოეტის, ვალტერ სკოტის პოემის „ტბის ქალწულის“ გერმანული თარგმანის ერთი ეპიზოდი დაუდო საფუძვლად, თუმცა, საბოლოოდ, სიმღერაში ლოცვის ტექსტი დამკვიდრდა. კომპოზიტორი 28 წლის

იყო, ეს პატარა შედევერი რომ შექმნა. მან დიდი მუსიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობას. მისი ნაწარმოებების უმრავლესობის შესრულებასა და აღიარებას თავად კომპოზიტორი ვერ მოესწრო. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გახდა პოპულარული მისი სიმღონიები, საგუნდო და ინსტრუმენტული მუსიკა და, რაც მთავარია, სიმღერები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს.



ფ. შუბერტი



Madonna della seggiola

Ave Maria!

Gratia plena Maria,
gratia plena,
maria gratia plena,
ave, ave Maria!
dominus,
dominus tecum.
benedicta tu in mulieribus
et benedictus,
et benedictus,
fructus ventris,
ventris tui, Jesus.

Ave Maria

Vocal

Piano *pp*

A - - - - - ve Ma ri - - - - -


a! Gra - - - - - ti - a - ple -



მოუსმინე სიმღერას, თვალი მიადევნე სანოტო ჩანაწერს და ამოიცანი ნოტის გრძლიობები.

შენ ხარ ვენახი

შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული
მორჩი კეთილი, ედემს შინა რგული,
აღვა სურნელი, სამოთხესა მოსული,
ღმერთმან შეგამკო, ვერვინ გჯობს ქებული
და თავი თვისით, მზე ხარ გაბრწყინებული.



რატი ამაღლობელი

საგალობლის „შენ ხარ ვენახი“ მოსმენისას. 1987 წელი

ძველად ეკლესიებთან არსებობდა სკოლები, სადაც ბავშვებს წერა-კითხვას და ქართულ მრავალხმიან სიმღერა-გალობას ასწავლიდნენ. დღეს ქართულ სიმღერებსა და საგალობლებს მთელ მსოფლიოში უსმენენ, მღერიან და გალობენ.

ღვთისმშობლის საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ მეთორმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებლის ძემ, დემეტრე მეფემ დაწერა.

ღვთიშობლის საგალობელი „შენ ხარ ჳენახი“

2. Is the suggestion and/or the suggestioners	2. Is the suggestion and/or the suggestioners
3. Is the suggestion and/or the suggestioners	3. Is the suggestion and/or the suggestioners
4. Is the suggestion and/or the suggestioners	4. Is the suggestion and/or the suggestioners
5. Is the suggestion and/or the suggestioners	5. Is the suggestion and/or the suggestioners


The authors are thankful to the anonymous referees for their constructive comments and suggestions. The authors are also thankful to the anonymous referees for their constructive comments and suggestions.



მოუსმინე საგალობელს და თვალი მიადევნე სანოტო ჩანაწერს.

„კარნავალი“

მუსიკალური ბგერების ჩანერა შესაძლებელია როგორც ნოტებით, ასევე ასოებით. პირველი ოქტავის ნოტები შემდეგნაირად აღინიშნება – $c_1, d_1, e_1, f_1, g_1, a_1, h_1$.



ბგერის ნახევარი ტონით ამაღლების ნიშანს $\sharp$ ამ სისტემით შეესაბამება შემდეგი აღნიშვნა:

$\sharp = is$

ბგერის ნახევარი ტონით დადაბლების ნიშანს $\flat$ ამ სისტემით შეესაბამება შემდეგი აღნიშვნა:

$\flat = es$

ბგერების აღმნიშვნელ ხმოვნებთან $\sharp$ და $\flat$ ჩანერის დროს ხმოვანი იკვეცება. მაგალითად, მი ბემოლი აღინიშნება ეს es და არა eš.

იმდერე გამა დო მაჟორი ასოების დასახელებით. შემდეგ ამოარჩიე ბგერების აღმნიშვნელი ასოები და შექმენი სხვადასხვა პორტრეტის დამახასიათებელ მოტივი.

იმდერე კანონი, სადაც გამოყენებულია ნოტების ასოებრივი აღნიშვნა. სიმღერით გადმოცემულია მოწყენილი მუსულმანის პორტრეტი.

C-a-f-f-e-e

Karion zu 3 Stimmen

Melodie vom Text: Karl Gottlieb Heine (1766–1813)


The image shows a musical score for three voices (Karlion zu 3 Stimmen) with the title 'C-a-f-f-e-e'. The melody is attributed to Karl Gottlieb Heine (1766–1813). The lyrics are in German and describe the effects of drinking too much coffee. The score consists of three staves, each with a vocal line and corresponding lyrics.

1
C - a - f - f - e - e, trink nicht so viel - Caf - fee,

2
nicht für Kin - der ist der Tür - ken - trank, schwächt die Ner - ven, macht dich blaß und krank,

3
sei doch kein Mu - sel - mann, der ihn nicht las - sen kann.





მუსიკალური პორტრეტები პირველად XVIII საუკუნის ფრანგმა კომპოზიტორებმა „დაგვიხატეს“. ამაზე მეტყველებს მათი საკლავესინო პიესების დასახელებები: ფრანსუა კუპერენის „ფლორენციელი ქალი“, „და მონიკი“, „იდუმალი ქალი“ და სხვა.

მკაფიოდ და ნათლად არის დახატული პორტრეტები XIX საუკუნის გერმანელი კომპოზიტორის რობერტ შუმანის საფორტეპიანო სიუიტა „**კარნავალში**“.

ეს არის მუსიკალური პორტრეტების ერთგვარი გამოფენა. აქ, როგორც სცენაზე, ჩაივლიან სხვადასხვა ნილბიანი პერსონაჟები. ნაწარმოებში საზეიმო მსვლელობის ყოველი მონაწილე წარმოგვიდგება არა მარტო გარეგნული იერით, არამედ, კომპოზიტორი მუსიკით გადმოგვცემს მათ სულიერ სამყაროს. ნაწარმოები 20 პიესისგან შედგება.



ფრედერიკ შოპენი



ნიკოლო პაგანინი



ესტრელა



კიარინა




პიერო და არლეკინო

„კარნავალი“ იწყება შესავლით ანუ პრეამბულით, რომელიც საზეიმო, სადღესასწაულო ხასიათისაა. მსმენელის წინაშე წარსდგებიან კარნავალის მონაწილე ტრადიციული ნიღბები: ტლანქი, მოწყენილი პიერო, მოქნილი და მხიარული არლეკინი, პრანჭია კოლომბინა და პანტალონე, მათ მოსდევენ ფანტასტიკური ნიღბები: „მოცეკვავე ასოები“ და „პეპლები“. აქვე ჩნდებიან შუმანის ორეულები – ევზებიუსი და ფლორესტანი (ეს ორი სახელი – მისი ლიტერატურული ფსევდონიმებია. შუმანი თავის სტატიებს ხშირად ამ გმირების სახელებით აქვეყნებდა). შემდეგ შუმანის მეგობრები: კლარა ვიკი, რომელიც სიუიტაში შესულია „კიარინას“ სახელით და ერნესტინა ფონ ფრიკენი – „ესტრელას“ სახელით. „კარნავალში“ ვხვდებით შუმანის საყვარელი კომპოზიტორების – შოპენისა და პაგანინის სახეებსაც. მუსიკალური პორტრეტების გარდა, სიუიტაში უხვადაა ვალსები. „კარნავალს“ აგვირგვინებს „დავითსბუნდლერების მარში“.

შეადარე ერთმანეთს პიესები:

1. პიერო და არლეკინი;
2. შოპენი და პაგანინი;
3. კიარინა და ესტრელა.



მოუსმინე და იმსჯელე:

1. რა ნიშნით დავაჯგუფეთ „კარნავალის“ პერსონაჟები?
2. რა აქვთ საერთო კიარინასა და ესტრელას? შეადარე ქალთა ეს სახეები ერთმანეთს, აღნიშნე, რა განსხვავებაა მათ შორის. გამოიყენე განსაზღვრებები: **თავ-შეკავებული, მგრძნობიარე, პოეტური, ცეცხლოვანი, შთაგონებული, ფეთქებადი, მშვენიერი, ემოციური, მგზნებარე.**
3. ვინ არიან პიერო და არლეკინი? შეადარე ისინი ერთმანეთს და მოიფიქრე განსაზღვრებები მათ დასახასიათებლად.
4. როგორია ორი მუსიკოსის, პაგანინისა და შოპენის მუსიკალური პორტრეტები?
5. ახლა კი მოისმინე ფ. შოპენის ნოქტიურნი №2 და პაგანინის კაპრისი №24. შეადარე ეს პიესები შუმანის კარნავალის გმირებს შოპენსა და პაგანინის.

სიმღერა

გადაწერე და გაიმღერე ერთი ოქტავით ქვემოთ.

რობერტ შუმანი



სცენები შუმანის „კარნავალის“ მუსიკის მიხედვით დადგმული სპექტაკლიდან.

ეს საინტერესოა:

წაიკითხე და გაიაზრე

რობერტ შუმანი ბავშვობიდან ოცნებობდა, ცნობილი პიანისტი გამხდარიყო. იგი ენერგიას არ იშურებდა, ძალიან ბევრს მეცადინეობდა, საათობით უკრავდა, ასრულებდა ურთულეს ტექნიკურ სავარჯიშოებს ფორტეპიანოზე. მაგრამ მარჯვენა ხელზე ფიზიკური ტრავმა მიიღო და, სამწუხაროდ, ვერ აისრულა ბავშვობის ოცნება. სამაგიეროდ, ფორტეპიანო მისი ყველაზე საყვარელი საკრავი გახდა. ამ საკრავისთვის შუმანს მრავალი ნაწარმოები აქვს დაწერილი. საფორტეპიანო მუსიკის მეშვეობით, იგი გამოხატავდა დამოკიდებულებას მეგობრების, ბავშვების, ცხოვრების, ბოროტებისა თუ სიკეთისადმი. შუმანი ფორტეპიანოსთან იყო დაკავშირებული მთელი სიცოცხლის მანძილზე და მას უზიარებდა თავის ფიქრებს, ოცნებებს, შთაბეჭდილებებს. კლარა ვიკსა და რობერტ შუმანს 8 შვილი ჰყავდათ და არაა გასაკვირი, რომ მამა მათთვისაც წერდა საბავშვო პიესებს, რომელთა შორისაა: „საბავშვო სცენები“ და „ალბომი ახალგაზრდებისათვის“. ხშირად ასრულებენ ბავშვები შუმანის პიესას „მამაც მხედარი“.

გაიხსენე ეს პიესა. როგორი პორტრეტი დაგვიხატა კომპოზიტორმა?

რობერტ შუმანი – შემაჯამებელი გაკვეთილი



მოუსმინე შუმანის ნაწარმოებებს, შეადგინე მუსიკალური ქუდი და მოაწყვე პრეზენტაცია თემაზე „რობერტ შუმანი“.

რობერტ შუმანი რომანტიკოსი კომპოზიტორია. იგი დაიბადა 1810 წლის 8 ივნისს, გერმანიის ქალაქ ცვიკაუში, წიგნის გამომცემლის ოჯახში. მამა, ავგუსტ შუმანი, ყველანაირად უწყობდა ხელს შვილის მუსიკალური ნიჭის განვითარებას. რობერტმა 7 წლის ასაკიდან დაიწყო მუსიკალური ნაწარმოებების შეთხზვა და კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე. მუსიკის გარდა აინტერესებდა ისტორია და ლიტერატურა, განსაკუთრებით ძველბერძნული მითები, ლეგენდები. შუმანი დიდხანს ფიქრობდა, მომავალში მუსიკოსი გამოსულიყო თუ ლიტერატორი. ბოლოს გადაწყვიტა, პიანისტი გამხდარიყო და დაიწყო მეცადინეობა ცნობილ პედაგოგთან ფრიდრიხ ვიკთან. თუმცა ისე დაიზიანა ხელი, რომ სამუდამოდ გამოეთხოვა ვირტუოზი შემსრულებლის კარიერას.

შუმანი 1832 წლიდან მთლიანად კომპოზიციის შესწავლით დაკავდა. ამ დროისთვის შეიქმნა მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები: „პეპლები“, „ვარიაციები აბეგის თემაზე“, „სიმფონიური ეტიუდები“, „კარნავალი“, „ფანტასტიკური პიესები“, „კრეისლერიანა“. 1834 წელს შუმანმა თავის მეგობრებთან ერთად დააარსა „ახალი მუსიკალური ჟურნალი“, სადაც აქვეყნებდა სტატიებსა მუსიკასა და ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე. წერდა სტატიებს გამოჩენილ კომპოზიტორებზე: ბახზე, მოცარტზე, ბეთჰოვენზე, ბერლიოზზე, შოპენზე, ლისტზე. შუმანმა ხელი შეუწყო ი. ს. ბახის მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლასა და პოპულარიზაციას. მანვე აღმოაჩინა ფრანც შუბერტის სიმფონიადო მაჟორი, რომლის ხელნაწერსაც შუბერტის ძმასთან მიაგნო. „ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში“, – ასე შეაფასა მან ეს აღმოჩენა.

1839 წელს, ლაიფციგში შუმანმა ჯვარი დაიწერა თავისი მასწავლებლის, ფრიდრიხ ვიკის ქალიშვილზე, კლარა ვიკზე, რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა. კლარა ვიკი შესანიშნავი პიანისტი იყო. ისინი ბევრს მოგზაურობდნენ ერთად, მართავდნენ კონცერტებს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც კლარა მეუღლის ნაწარმოებს ასრულებდა.



რობერტ შუმანი



რობერტ შუმანის
ხელნაწერი

მოგზაურობიდან დაბრუნებული შუმანების ოჯახი ლაიფციგიდან დრეზდენში გადავიდა საცხოვრებლად. დრეზდენში კომპოზიტორი ავად გახდა. ექიმები უძლური აღმოჩნდნენ მისი ავადმყოფობის წინაშე. რობერტ შუმანი გარდაიცვალა 1856 წლის 28 ივლისს, დასაფლავებულია ქალაქ ბონში.



შუმანის როიალი

მელოდია

რობერტ შუმანი



მოუსმინე რ. შუმანის ორ პიესას საფორტეპიანო ციკლიდან „კარნავალი“: „პრეამბულას“ და „დავითსბუნდლერთა მარშს“.

შეადარე ისინი ერთმანეთს და იმსჯელე ნაწარმოებების ხასიათსა და განწყობაზე.



უყურე ვიდეოს. რ. შუმანი „კარნავალი“ – საბალეტო დადგმა, მ. ფოკინის ქორეოგრაფიით.

შუბერტის „კალმახი“

Forelle



ქრისტიან შუბარტი

In einem Bächlein helle,
Da schoß in froher Eil
Die launische Forelle
Vorüber wie ein Pfeil.
Ich stand an dem Gestade
Und sah in süßer Ruh
Des muntern Fischleins Bade
Im klaren Bächlein zu.
Ein Fischer mit der Rute
Wohl an dem Ufer stand,
Und sah's mit kaltem Blute,
Wie sich das Fischlein wand.
So lang dem Wasser Helle,
So dacht ich, nicht gebricht,
So fängt er die Forelle
Mit seiner Angel nicht.

ტექსტი: ქ. შუბარტის
მუსიკა: ფ. შუბერტის



ფრანც შუბერტი

რობერტ შუმანის უფროსი თანამედროვე იყო ავსტრიელი კომპოზიტორი, ფრანც შუბერტი, რომანტიკული მუსიკის ფუძემდებელი. იგი 600-ზე მეტი სიმღერის ავტორია. თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერა „კალმახი“ შუბერტმა დაწერა ახლო მეგობრის, გერმანელი პოეტის, ქრისტიან შუბარტის ლექსზე. კომპოზიტორის მეგობრების მოგონებებიდან ცნობილია, რომ ეს სიმღერა შექმნისთანავე პოპულარული გახდა და აღიარეს, რომ იგი „შუბერტის ერთ-ერთი ყველაზე გრაციოზული და ნაზი ნაწარმოებია“. სიმღერაში ასახულია მზის სხივებით განათებულ წყაროს წყალში მოლივლივე კალმახი, რომელიც ბოლოს მეთევზის ანკესზე წამოეგება. სიმღერის ვოკალური მელიოდია მოქნილი და მოძრავია, ვერცხლისწყალივით სწრაფი და ბროლივით წკრიალა აკომპანემენტი კი გამჭვირვალე წყაროს რაკრაკსა და წყლის ჩქაფუნს გამოხატავს.

ამ სიმღერის მელიოდია შუბერტმა მოგვიანებით გამოიყენა საფორტეპიანო კვინტეტში.


მუსიკა კინოში – შესავალი

დაიმახსოვრე, როგორ ჩანერო დაბალი რეგისტრის ბგერები. გაეცანი ბანის გასაღებში ჩანერილ ნოტებს.



ჩანერე მოტივი ბანის გასაღებში და იმსჯელე ფილმის რომელი პერსონაჟის მოტივი შეიძლება იყოს მამაკაცის თუ ქალის.

დააკვირდი მოცემულ ნახატს. ამოიცანი ბანის გასაღებში ჩანერილი ნოტები და ასევე გაიხსენე ნოტების ასოებრივი აღნიშვნა.



მუსიკალურ-თეატრალურ ნაწარმოებებს – ოპერასა და ბალეტს საფუძვლად უდევს ლიბრეტო. თეატრალური სპექტაკლიც და ფილმებიც ლიბრეტოს მსგავს ლიტერატურულ საფუძვლებზე, სცენარებზეა აგებული. ამავე დროს, დრამატული სპექტაკლი, მხატვრული, დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმები, უამრავი ტელე- თუ რადიოგადაცემა თითქმის არ იქმნება მუსიკის გარეშე. გავიხსენოთ ე. გრიგის მუსიკა. შექმნილი ჰ. იბსენის დრამატული სპექტაკლისთვის „პერ გიუნტი“, ასევე რ. როჯერსის მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“, რომელმაც მეორე სიცოცხლე ფილმით მოიპოვა.

მუსიკა თეატრში, კინოში თუ ტელევიზიაში, სხვადასხვა როლსა და ფუნქციას ასრულებს; ის შეიძლება წამყვანი და მთავარი იყოს, ან მოქმედების ილუსტრაციას ახდენდეს, გვიხსნიდეს ფილმისა თუ სპექტაკლის შინაარსს, გადმოგვცემდეს ამა თუ იმ პერსონაჟის განწყობასა და ემოციურ მდგომარეობას...

კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე, როცა კინო მუნჯი იყო, ფილმებს ყოველთვის თან ახლდა მუსიკა, რომელსაც ფილმის ჩვენებისას ასრულებდნენ, კინოდარბაზში მყოფი პიანისტი აკომპანიატორები, ე. წ. „ტაპერი“. ისინი იყვნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, მუსიკოსები, სტუდენტები. მუსიკა მაყურებელს ეხმარებოდა, უფრო



კადრები ჩარლი ჩაპლინის მუნჯი კინოდან

ღრმად განეცადა ის, რაც ეკრანზე ხდებოდა. „ტაპერები“ უკრავდნენ პოპულარულ პიესებს და საკუთარ იმპროვიზაციასაც. მთავარი იყო, მუსიკას ეკრანზე ნანახის შინაარსი გადმოეცა. ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი ახალგაზრდობაში ხშირად იყო ტაპერი.

იმის გამო, რომ ყველა მუსიკოსს არ შეეძლო ცვალებადი კინოკადრის შესაბამისი მუსიკა შეესრულებინა, ტაპერთა დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური ალბომი-სახელმძღვანელოები, რომლებშიც სხვადასხვა სახის, უპირველეს ყოვლისა, საყოფაცხოვრებო ტიპის მუსიკა იყო თავმოყრილი: რომანსები, სიმღერები, ცეკვები, მარშები, ფრაგმენტები კლასიკური ნაწარმოებებიდან.



ძმები ლუმიერები. კადრი ლუმიერების ფილმიდან „მატარებელი“

1895 წლის, 18 დეკემბერს, პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, გრანდ კაფეში შედგა მსოფლიოში პირველი კინოსეანსი, რომელიც წარმოადგინეს ძმებმა ლუმიერებმა, კინემატოგრაფიის ფუძემდებლებმა.

1912 წელს, პირველმა ქართველმა რეჟისორმა, ვასილ ამაშუკელმა გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ხოლო 1916-1918 წლებში ალექსანდრე წუნუნავამ – პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტიანე“. ეს მუნჯი ფილმები იყო და მათ ჩვენებას თან ახლდა მუსიკა.



უყურე ვიდეოფრაგმენტს ფილმიდან „მატარებელი“.

კადრები ვასილ ამაშუკელის ფილმიდან „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“



1929 წლისთვის, ამერიკაში გადაიღეს ხმოვანი ფილმებიც. 1931 წელს ეკრანზე გამოვიდა პირველი ხმოვანი საბჭოთა ფილმიც „ცხოვრების საგზური“, შოსტაკოვიჩის მუსიკით. შოსტაკოვიჩის ეკუთვნის მუსიკა ქართველი რეჟისორის, მ. ჭიაურელის ცნობილი ფილმისთვის „ბერლინის დაცემა“ (1950 წ.). პირველი ხმოვანი ფილმებისთვის ბევრი სიმღერა დაიწერა, რომლებიც მალე ძალიან პოპულარული გახდა და ხალხი დღესაც სიამოვნებით მღერის მათ. თანდათან, ფილმებში ინსტრუმენტული მუსიკაც აჟღერდა.

ზოგჯერ მუსიკა „კადრს მიღმაც ჟღერს“, იგი ემოციურად ალამაზებს სიუჟეტს, მუსიკა გადმოსცემს გმირის აზრებსა და გრძნობებს. თანამედროვე კინოფილმებს ელექტრონული და კომპიუტერული მუსიკითაც აფორმებენ.



კადრები ფილმიდან „ჩემი ბებია“



უყურე ქართულ მხატვრულ ფილმს „ჩემი ბებია“, რეჟისორი კ. მიქაბერიძე (1929). მოუსმინე მის მუსიკალურ გაფორმებას, გაიაზრე და მოაწყვე პრეზენტაცია კლასში თემაზე – მუსიკა „ქართულ მუნჯ კინოში“.

ვიდეოფრაგმენტი – ცეკვა.

საუნდტრეკი – სპეციალურად ფილმისთვის დაწერილი მუსიკა. კომპოზიტორს ფილმისთვის ირჩევს რეჟისორი. იგი წყვეტს, თუ როგორი უნდა იყოს მუსიკა ამა თუ იმ სცენაში. კომპოზიტორი დაწერილ მუსიკას ეკრანზე მიმდინარე მოქმედებას შეუსაბამებს და განსაზღვრავს მათ ხანგრძლივობას.

რეჟისორი – კინოფილმის ან ტელე- თუ რადიოგადაცემის დამდგმელი, რომელიც ხელმძღვანელობს შემოქმედებით პროცესს და მუშაობს მსახიობებთან, დამდგმელ ოპერატორთან, მხატვართან და კომპოზიტორთან ერთად.

პროდიუსერი – კინოსტუდიის მებატრონე, კინოსპეციალისტი, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებს პროექტის წარმოებაში, ეხმარება შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფებს და ხანდახან რეჟისორთან ერთად თავადაც დგამს ფილმებს.



კოტე მიქაბერიძე

ყვითელი ფოთლები

Cantabile ♩ – 62

კომპოზიტორი: გ. ყანჭელი

Piano

The musical score is written for piano and consists of five systems of staves. The first system includes a crescendo leading to *mp* and a decrescendo to *pp*. The second system continues the melodic and harmonic development. The third system features a melodic line with a slur and a decrescendo to *pp*. The fourth system includes a decrescendo to *pp* and a melodic line with a slur. The fifth system begins with *allargando* and ends with a decrescendo to *ppp*. The score is marked with various musical notations, including slurs, ties, and asterisks, indicating specific points in the music.

გ. ყანჩელი, – „ყვითელი ფოთლები“



მოუსმინე მუსიკას, თვალი მიადევნე სანოტო ჩანაწერს და მოიფიქრე, როგორი ხასიათის კინოკადრს შეეფერება იგი.

შესაძლებელია თუ არა, ამ მუსიკით გაფორმდეს მხიარული სიუჟეტი?

შესაძლებელია თუ არა ამ მუსიკაზე ცეკვა?



მუსიკალური პროდიუსერი (ინგლ. record producer) – პირი, რომელიც ხმის ჩან-ერის პროცესსა და ხარისხზე პასუხისმგებელი. იგი არჩევს რეპერტუარს, ადგენს პროექტებს, იქნება ეს ალბომი, სიმღერა, რადიოგადაცემა თუ სხვა. პროდიუსერი თავად ირჩევს ხმის რეჟისორებს, ასისტენტებს, მემონტაჟეებს. თავისი პროდიუსერები ჰყავს მსხვილ სტუდიებსაც. ზოგჯერ, მუსიკოსები თავად ირჩევენ პროდიუსერებს.

ხმის ოპერატორი, რეჟისორი ფლობს გახმოვანების ტექნიკას და ტექნოლოგიებს, სხვადასხვა აუდიოსისტემასა და პროგრამებს, შეუძლია იმუშაოს კინოსტუდიაში, თეატრში, ტელევიზიაში და ა.შ.

ყვითელი ფოთლები

სიმღერა კ/ფილმიდან „მიმინო“

მუსიკა: გია ყანჩელის

ტექსტი: პეტრე გრუზინსკის

ყვითელი ფოთლები
თან მიაქვს ქარს,
დააყრის ფიფქებად
შენ სახლის კარს.

გეძახი, არავინ
არა მცემს ხმას,
ყვითელი ფოთლები
სიჩუმეს ჰგავს.

და მაინც ყვითელი
ფოთლების მნამს,
ყვითელი ფოთლები
სიჩუმეს ჰგავს.

● გაიმღერე და ამოიცანი, რა სიმღერაა?



ქართველი კომპოზიტორი გია ყანჩელი თანამედროვე მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მის მუსიკას მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში წარმატებით ასრულებენ ცნობილი ორკესტრები, აღიარებული შემსრულებლები. სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება საერთაშორისო ფესტივალები, რომლებიც ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებისადმი მიძღვნილი.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ყანჩელის შემოქმედებაში სიმფონიურ მუსიკას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ ჟანრმა მოუტანა მას საერთაშორისო აღიარება, ფართო საზოგადოების სიყვარული და პოპულარობა კი ქართველ კომპოზიტორს თეატრალურმა და კინომუსიკამ მოუპოვა. ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: შვიდი სიმფონია, ოპერა „და არს მუსიკა“, მუსიკა ფილმებისათვის „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“, „რეკორდი“, „როცა აყვავდა ნუში“, „მიმინო“, „არ დაიდარდო“; მუსიკა ცნობილი რეჟისორის რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლებისათვის: „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“ და სხვა.



შერეკილები

კომპოზიტორი: გ. ყანჩელი

Lontano, molto rubato ♩ = 52

Piano

ppp

mp

pp

a tempo

loco

rit. molto

ღაი * ღაი *

ღაი * ღაი *

ღაი * ღაი *

გ. ყანჩელი, მუსიკა კინოფილმიდან „შერეკილები“.



მოუსმინე მუსიკას, თვალი მიადევნე სანოტო ჩანაწერს და მოიფიქრე, როგორი ხასიათის კინოკადრს მიესადაგება იგი.

შესაძლებელია თუ არა, ამ მუსიკით გაფორმდეს მხიარული სიუჟეტი?

შესაძლებელია თუ არა ამ მუსიკაზე ცეკვა?

ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები –1

ამოიცანი ბანის გასაღებში ჩანერილი გამები და იმლერე ოქტავით ზემოთ.

დო მაჟორი

დო რე მისი ფა

სიღო ღაბ სი დო

ლა მინორი

ღაბ სი დო რე

მისი ფა სიღო ღაბ



მოუსმინე მუსიკას, ამოიცანი ფილმების საუნდტრეკები და მიუსადაგე ფოტოებს.



1. როგორი და რა ხასიათისაა თითოეული საუნდტრეკი?
2. რომელია პირობითი მუსიკალური გაფორმება, რომელი – სიუჟეტური?
3. არის თუ არა ამ ფრაგმენტებში კონტრასტული გაფორმება?
4. არის თუ არა ისეთი მუსიკალური გაფორმება, რომელიც აღწერს ბუნების პეიზაჟსა და განწყობას?



აარჩიე მოცემული ფილმების მუსიკალური თემები, გადააქციე სემპლებად და შეადგინე მუსიკალური კოლაჟები.

ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები –2

ამოიცანი ბანის გასაღებში ჩანერილი გამები და იმლერე ოქტავით მაღლა.

სოლ მაჟორი

ლა მინორი

 ამოიცანი ფილმები საუნდტრეკების მიხედვით და განსაზღვრე მუსიკალური გაფორმების რა სახეებია გამოყენებული ამ ვიდეოფრაგმენტებში.



1. რომელ ფრაგმენტშია მუსიკალური გაფორმება ილუსტრაციული?
2. რომელი მუსიკალური გაფორმებაა „კადრს მიღმა“?
3. სად გვიხატავს მუსიკა ბუნების სურათს?
4. არის თუ არა გამოყენებული ამ ფილმების გმირების ლაიტთემები?
5. ლაიტთემების დახმარებით ამოიცანი პერსონაჟის ხასიათი.

კადრები ფილმებიდან



ლიმილის ბიჭები



მე, ბებია, ილიკო და ილარიონი



ნატვრის ხე



უძინართა მზე



ფეოლა


რას ნიშნავს მუსიკალური გაფორმება კადრს მიღმა?

მაგალითად, ფილმის გმირი მიდის ქუჩაში, ასრულებს სხვადასხვა მოქმედებას, კადრს მიღმა ისმის სხვადასხვა მუსიკა. ეს შეიძლება იყოს: სიმღერა სახლიდან, გამვლელის ლილინი, კაფედან გამოსული მუსიკა, ქუჩის მუსიკოსების სიმღერა და დაკვრა. ასეთი კადრები შეგიძლიათ, ნახოთ ფილმებში: „იყო შაშვი მგალობელი“, „არასერიოზული კაცი“, „გიორგობისთვე“...

განასხვავე მუნჯი და ხმოვანი კინო

ამოიცანი ბანის გასაღებში ჩანერილი გამები და იმღერე ოქტავით მაღლა.

ფა მაჟორი



რე მინორი



უყურე ვიდეოფრაგმენტებს მუნჯი და ხმოვანი კინოფილმებიდან. განასხვავე და ამოიცანი.



1. რომელია ხმოვანი კინო და რომელი – მუნჯი?
2. როგორია მუსიკალური გაფორმება პირობითი თუ სიუჟეტური? ილუსტრაციული და კონტრასტული?
3. რომელ ვიდეოფრაგმენტში აღწერს მუსიკა ბუნებას?

კადრები ქართული ფილმებიდან



ქოლგა



ქორწილი



პირველი მერცხალი



ლაზარე



დააკვირდი ორ ვიდეოფრაგმენტს ქართული მხატვრული ფილმიდან „პირველი მერცხალი“:

- ფეხბურთელები აცილებენ მეტოქეებს და მღერიან ხალხურ სიმღერას „აბა ულა“.
- ფეხბურთელების გამარჯვების სცენა.
- შეუცვალე ამ ორ ვიდეოფრაგმენტს მუსიკალური გაფორმება და გაიაზრე, როგორ შეიცვლება მონაკვეთის შინაარსი ამ ქმედებით.

ჯანსუღ კახიძე – ქართველი დირიჟორი, ლოტბარი, კომპოზიტორი და მომღერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1957 წელს ჯ. კახიძემ ჩამოაყალიბა ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელმაც ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე ოქროს მედალი მოიპოვა. იგი იყო საქართველოს საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი და 1973 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საქმეში. გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი სისტემატურად ატარებდა კლასიკური მუსიკის საღამოებს. შექმნილი აქვს მუსიკა კინოფილმებისთვის: „შერეკილები“, „პირველი მერცხალი“ (გ. ყანჩელთან ერთად), „დათა თუთაშხია“ (ბ. კვერნაძესთან ერთად), „იავნანა“, „რაჭა, ჩემი სიყვარული“, „ყვარყვარე“ და სხვა. წარმატებით დირიჟორობდა ბავარიის, ლონდონის, პარიზის, მილანის „ლა სკალას“, ვაშინგტონისა და ბოსტონის, სიდნეისა და მელბურნის სიმფონიურ ორკესტრებს.

აღსანიშნავია, რომ ჯ. კახიძის სადირიჟორო ჯოხი ინახება ქ. ბუსეტოში, ჯ. ვერდის სახლ-მუზეუმში. 1993 წელს, ჯ. კახიძემ დააარსა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, რომელსაც მანქანის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი, ვახტანგ კახიძე.



ჯანსუღ კახიძე დირიჟორობისას


შეუცვალე ვიდეოფრაგმენტებს მუსიკალური გაფორმება. მაგალითად, მხიარულ მოქმედებებს შეუხამე სევდიანი მუსიკა და პირიქით, სევდიანს ან საშინლს – მხიარული. ე. ი. შექმენი კონტრასტული მუსიკალური გაფორმების ნიმუშები.

შეგახსენებთ, კინოხელოვნებაში კონტრასტულ მუსიკალურ გაფორმებას **კონტრაპუნქტს** უწოდებენ. მოიძიე ლექსიკონში ეს სიტყვა და გაიხსენე, რას ნიშნავს კონტრაპუნქტი მუსიკაში.



კადრები ფილმიდან „შერეკილები“

 ფილმი „შერეკილების“ მუსიკალური ლაიტთემებისაგან შეადგინე მუსიკალური კოლაჟები.



კადრები ფილმიდან „შერეკილები“

„შერეკილები“

- ➔ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში.
ამოიცანი ბანის გასაღებში ჩანერგილი გამები და იმდერე ოქტავით მალლა.

რე მაჟორი

სი მინორი

 დააკვირდი ვიდეოფრაგმენტებს კინოფილმიდან „შერეკილები“ და ამოიცანი მუსიკალური გაფორმების სახეები:

1. გამოყენებულია სიუჟეტური გაფორმება;
2. მუსიკა გვიხატავს გმირის პორტრეტს;
3. მუსიკა აღწერს გმირების მოქმედებებს და სრულად თანხვედბა მათ.

უყურე სრულად ამ ფილმს, ამოიცანი და განასხვავე გმირების ლაიტთემები.

ფილმის ყურებისას გამოყავი ისეთი კინოფრაგმენტები, სადაც გამოყენებულია კონტრასტული მუსიკალური გაფორმება.

მაია წყნეთელის სიმღერა

(სიმღერა კინოფილმიდან „მაია წყნეთელი“)

მუსიკა სულხან ცინცაძის

ტექსტი პეტრე გრუზინსკის

დილით რად გიყვარს ტოროლაჲ, სტვენა,
ვის ემალები ნეტავი,
მასწავლე შენი ლამაზი ენა,
რადა ხარ გაუბედავი?

მისამღერი:

ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი,
შენი ეშხით მეცა ვმღერი,
მეცა ვმღერი ასე მაღი-მაღ,
ლექსი თითო-ოროლაო,
მეც მასწავლე ტოროლაო,
მეც შენსავით კენტად დავდივარ.
შენი სიმღერა გაჰყვება მაშინ
ფრთამალი ქარის ქროლასა.
მზეო, ამოდი, ამოდი, მზეო,
ნუ ეფარები გორასა.

მისამღერი:

ჰერი, ჰერი...
ტოროლაჲ, კენტად ჯობია ფრენა,
სახლში ჯაბანის ყოლასა,
მზეო, ამოდი, ამოდი, მზეო,
ნუ ეფარები გორასა.



მაია წყნეთელის როლში
ლეილა აბაშიძე



სულხან ცინცაძე
1925-1991

სიმღერები, რომლებიც ჟღერს კინოფილმებში „მაია წყნეთელი“ და „აბეზარა“ ეკუთვნის სულხან ცინცაძეს. იგი XX საუკუნის ცნობილი ქართველი კომპოზიტორია. მას დაწერილი აქვს ოპერა „განდეგილი“, ბალეტები „დემონი“, „დალი და მონადირე“, სიმფონიები, კონცერტები და პიესები სხვადასხვა ინსტრუმენტისათვის. ცინცაძეს შექმნილი აქვს ასევე მუსიკა ქართული ფილმებისათვის: „ჭრიჭინა“, „თოჯინები იცინიან“, „ბაში-აჩუკი“, „ჯარისკაცის მამა“. მის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკვარტეტო ჟანრს. პოპულარულია ცინცაძის საკვარტეტო მინიატურები, რომელთა უმრავლესობა ხალხურ თემებზეა შექმნილი: „ლალე“, „ინდი-მინდი“, „ურმული“, „საჭიდაო“, „მწყემსური“ და სხვა. მის მინიატურებს საქართველოს სახელმწიფო ეროვნული სიმებიანი კვარტეტი ასრულებს, რომელიც მის სახელს ატარებს. წლების მანძილზე სულხან ცინცაძე ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, იყო.

ამოიცანი, სიმღერის რომელი მონაკვეთია და დაადგინე ტონალობა.



სიმღერა ქართულ კინოში – შემაჯამებელი

- რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო. თავისუფალი აქტივობა სოლფეჯიოში. ამოიცანი ბანის გასაღებში ჩანერილი გამები და იმღერე ოქტავით მაღლა.

სი ბემოლ მაჟორი

რე მინორი



მოუსმინე სიმღერებს ქართული მხატვრული ფილმებიდან, ამოიცანი ფილმები და მათი პერსონაჟების ხასიათი სიმღერის მიხედვით.

მოუსმინე, გაიმღერე სიმღერები და მიუსადაგე ფოტოებს.



სიმღერა შავ კატაზე

(სიმღერა კინოფილმიდან „აბეზარა“)

ტექსტი: პეტრე გრუზინსკის

მუსიკა: სულხან ცინცაძის

ყური უგდე, როგორ მიცემს
სიხარულით გული,
ვინა გშობა, პანანინავ,
ასე გამურული.

მისამღერი:

მიაუ, მიაუ, ჩემო ფისუნიავე,
მიაუ, მიაუ, ჩემო ფისუნიავე,

ამბობენ, რომ შავი კატა
მოგიტანსო ზიანს.
შენ კი ბედი გამინათე,
ჩემო ფისუნიავე.

მიაუ, მიაუ, ჩემო ფისუნიავე,
მიაუ, მიაუ, ჩემო ფისუნიავე,

ჩემო კარგო, თუკი შიშით
გაგიბოდი გუშინ,
დღეის შემდეგ, სადაც გნახავ,
ჩაგიხუტებ გულში.

მისამღერი:




🎵 გაიმღერე, ამოიცანი რა სიმღერაა და დაადგინე ტონალობა.



„აიდა“

გამოსახე რიტმი სხვადასხვა მოძრაობით:



მუსიკალური თეატრი სათავეს იღებს უძველესი რიტუალებიდან და სახალხო დღესასწაულებიდან, სადაც გაერთიანებული იყო სიმღერა, ცეკვა, მუსიკა და მოქმედება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თეატრი, რომელიც გულისხმობს მაყურებლის არსებობას, მის თანამონაწილეობას. სიტყვა „თეატრი“ ბერძნულია და „სანახაობის ადგილს“ ნიშნავს, სიტყვის საფუძველი კი არის ზმნა „ვუყურებ“, „ვხედავ“.

ბერძნული თეატრი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიქმნა. მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუსიკას. თეატრალური დადგმის აქტიური მონაწილე იყო გუნდი, რომელიც გადმოსცემდა დრამის იდეას, მოქმედ გმირთა ფიქრებსა და განცდებს. ადგილს, სადაც გუნდი იყო განლაგებული, „**ორხესტრა**“ ეწოდებოდა.

ბერძნული თეატრის იდეით, XVI საუკუნის დასასრულს, იტალიაში შეიქმნა მუსიკალური თეატრის ახალი ჟანრი, იტალიურად, *dramma per musica* – „დრამა, გადმოცემული მუსიკით“. კომპოზიტორმა კლაუდიო მონტევერდიმ კი ამ ჟანრს „ოპერა“ (იტალიურად *opera* – „ნაშრომი“) უწოდა. იტალიიდან ოპერა გავრცელდა მთელს ევროპაში.

დროთა განმავლობაში შეიქმნა მუსიკალური თეატრის სხვადასხვა ჟანრი: ოპერეტა, ვოდევილი, მიუზიკლი, როკ-ოპერა და სხვ.



მოუსმინე და დააკვირდი ფრაგმენტებს ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „აიდა“ და ელტონ ჯონის იმავე სახელწოდების მიუზიკლიდან (ამნერიის მსახურების გარემოცვაში). იპოვე სხვაობა ორ დადგმას შორის და უპასუხე კითხვებს:



1. რომელ ფრაგმენტში აქვს სიმღერასა და ქორეოგრაფიას თანაბარი მნიშვნელობა და რომელშია საცეკვაო ნომრები ჩანართის სახით?
2. რომელი ფრაგმენტია დანერგილი პოპ მუსიკის სტილში?
3. მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელი შეიძლება მივაკუთვნოთ საოპერო ჟანრს და რომელი – მიუზიკლს?
4. რომელ ფრაგმენტში ექცევა მეტი ყურადღება შემსრულებლის სერიოზულ ვოკალურ მონაცემებს და სასიმღერო ტექნიკას?



სცენები ჯ. ვერდის ოპერიდან „აიდა“

ოპერა მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენაა, რომელიც აერთიანებს მუსიკას, დრამას, მხატვრობასა და ქორეოგრაფიას. შინაარსის გადმოცემაში ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკაა. საოპერო გმირები სიმღერისა და საორკესტრო აკომპანემენტის მეშვეობითაა დახასიათებული. გმირის გრძნობებისა და აზრების გადმოცემის მთავარი ფორმაა არია – ვრცელი სოლო სასიმღერო ეპიზოდი. ოპერაში ჩართულია საანსამბლო და საგუნდო ნომრებიც.

მიუზიკლი მუსიკალური თეატრის კიდევ ერთი ჟანრია. უფრო ხშირად იგი კომედიური შინაარსისაა. მიუზიკლი შეიცავს საესტრადო ჟანრებისა და ოპერის გამომსახველობით ხერხებს. მასში შერწყმულია დიალოგები, სიმღერები, შოუ; დიდ როლს თამაშობს ქორეოგრაფია, რომელიც განსხვავდება საბალეტო და სალონური ცეკვებისაგან. მიუზიკლის მუსიკალური სტილი მრავალფეროვანია, შეიცავს ჯაზის და სხვადასხვა თანამედროვე მიმართულების ელემენტებს. ეს ყველაფერი მოითხოვს მოქმედების დინამიურობას. მიუზიკლში გამოყენებულია ელექტროაკუსტიკური აპარატურა.

გაეცანი ჯ. ვერდის ოპერა „აიდას“ ლიბრეტოს.

ეგვიპტელთა მონობაში მყოფ ეთიოპელ მეფის ასულ აიდასა და დამპყრობელთა მთავარსარდალ რადამესს შეუყვარდებათ ერთმანეთი. რადამესი ეგვიპტის ფარაონის ქალიშვილ ამნერისსაც უყვარს. ეთიოპიის მეფე ამონასრო, აიძულებს აიდას, გამოკითხოს რადამესს, სადაა განლაგებული ეგვიპტელთა ჯარი. აიდა შეასრულებს მამის დავალებას და რადამესს გაქცევას შესთავაზებს. ეჭვიანი ამნერისი, ქურუმებთან ერთად, შეიტყობს ამის შესახებ და რადამესს ლალატში ამხელს. მხედარმთავარს მინისქვეშეთში დატყვევებენ. აიდა სასამართლოს გადანყვეტილებას შეიტყობს, რადამესთან შეაღწევს და ისინი სიცოცხლის ბოლო წუთებს ერთად ატარებენ.



უყურე ფრაგმენტს ვერდის ოპერიდან „აიდა“, სადაც მთავარი ქურუმი რამფისი რადამესს აცნობებს, რომ სასწრაფოდ უნდა აირჩიონ ეგვიპტელთა ჯარის მხედართმთავარი ეთიოპიელთა მოსალოდნელი თავდასხმის გამო.

შემდეგ მოუსმინე ოპერის კულმინაციურ სცენას – გუნდსა და მარშს.

წაიკითხე სიტყვა „კულმინაციის“ განმარტება და დაადგინე, მოსმენილი ორი ფრაგმენტიდან რომელს შეიძლება უწოდო კულმინაციური.



გუნდი ვოკალისტ შემსრულებელთა დიდი ჯგუფია; ოპერაში – მუსიკალური ნომერი, რომელსაც ეს ჯგუფი ასრულებს.

კულმინაცია ლათ. სიტყვაა და ნიშნავს მწვერვალს. მუშაკაში ნაწარმოების ემოციურად ყველაზე მნიშვნელოვანი, უმაღლესი დაძაბულობის მომენტი, სადაც იდეის გადმოცემის სიმძაფრე მწვერვალს აღწევს.

სოლო იტალ. სიტყვაა და ნიშნავს „მარტოს“, მუსიკაში – ერთი შემსრულებლის მიერ ნაწარმოების შესრულება.

ლიბრეტო იტალ. სიტყვაა და „პატარა წიგნს“ ნიშნავს. ლიბრეტო მუსიკალური სპექტაკლის (ოპერა, ბალეტი, მიუზიკლი) შინაარსია, რომელიც კონკრეტული ნაწარმოებისათვის იწერება.



ჯუზეპე ვერდი

ჯუზეპე ვერდი (1813 ლე რონკოლე – 1901 მილანი) გენიალური იტალიელი საოპერო კომპოზიტორია. მისი შემოქმედება უდიდესი საჩუქარია როგორც მსოფლიო მუსიკალური კულტურისათვის, ასევე ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც არ არის გულგრილი საოპერო ხელოვნების მიმართ. მელოდიები ვერდის ოპერების საანსამბლო, საგუნდო თუ სოლო ნომრებიდან, განსაკუთრებით მღერადი და ადვილად დასამახსოვრებელია. მთელს მსოფლიოში უდიდესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს ოპერები: „ბალ მასკარადი“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „აიდა“, „ოტელო“, „ფალსტაფი“.



ელტონ ჯონი

ელტონ ჯონი (1947) – სერ ელტონ ჰერკულეს ჯონი (ნამდვილი სახელი რეჯინალდ კენეთ დუაიტი) – ინგლისელი პოპ და როკ მუსიკოსი, მომღერალი და კომპოზიტორი. მიღებული აქვს გრემის ექვსი ჯილდო, ბრიტანული მუსიკის 4 ჯილდო, ოსკარი, ოქროს გლობუსი, ტონის ჯილდო და კენედის ცენტრის ჯილდო. კარიერის მანძილზე ჯონმა გაყიდა 250 მილიონზე მეტი ჩანაწერი.

3 წლის ასაკში ჯონმა ფორტეპიანოზე დაკვრა დაიწყო. ერთი წლის შემდეგ კი სმენით აწყობდა სიმღერებს. 7 წლის ასაკში, დაიწყო სწავლა მუსიკალურ სკოლაში. ის მუსიკისადმი დიდ ინტერესს ავლენდა და ქმნიდა მელოდიებს. 11 წლის ასაკში მიიღო გრანტი „მუსიკის სამეფო აკადემიაში“ განათლების მისაღებად. ერთ-ერთი მასწავლებლის მოგონებით, მან, ერთხელ მოსმენით ზუსტად შეასრულა ფორტეპიანოზე ჰენდელის ოთხგვერდიანი ნაწარმოები.

შემდეგი ხუთი წლის მანძილზე, ბიჭუნა დადიოდა ლონდონის აკადემიაში. ამბობდა, რომ მოსწონდა შოპენისა და ბახის შესრულება, აგრეთვე გუნდში სიმღერა.

თავდაპირველად, იგი უკრავდა ბარებში, შემდეგ, კონცერტებს მართავდა, იყო სხვადასხვა ანსამბლის წევრი. ბრიტანულმა ჟურნალმა დააკავშირა ელტონ ჯონი მისი სიმღერების ტექსტების მომავალ ავტორთან, ბერნი ტოპენთან, რომელთანაც მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა. სიმღერა Your Song („შენი სიმღერა“) გახდა ელტონ ჯონის, როგორც მომღერლის პირველი ჰიტი. ამის შემდეგ, მან შექმნა ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორებიცაა: Goodbye Yellow Brick Road, Captain Fantastic and the Brown Dirt Cowboy, Breaking Hearts, Songs from the West Coast, Peachtree Road, The Captain & the Kid, The Diving Board და სხვა; სიმღერები ანიმაციური ფილმისათვის „The Lion King“ და მიუზიკლი „აიდა“.

„გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით“

„ნაბუქოს“ შექმნის ისტორია – გენიალურმა იტალიელმა კომპოზიტორმა, ჯუზეპე ვერდიმ, ახალგაზრდობის წლებში დაკარგა ოჯახი – ორი შვილი და საყვარელი მეუღლე. ამ ტრაგედიის გამო გადაწყვიტა, აღარასოდეს შეექმნა მუსიკა. მილანის საოპერო თეატრის „ლა სკალას“ იმპრესარიო მერელი დიდად აფასებდა კომპოზიტორის ტალანტს. სწორედ მისი ძალისხმევით ვერდის ხელში აღმოჩნდა ლიბრეტო და შეიქმნა გენიალური ოპერა „ნაბუქო“. ამ ფაქტის შესახებ ვერდი იხსენებს:

„ქუჩაში რაღაც გაურკვეველმა უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო. დიდი სევდა თითქოს გულს მიპოვდა... შინ დაბრუნებისას რვეული მაგიდაზე ვისროლე. დაცემისას ხელნაწერი გადაიშალა. სრულიად ანგარიშმიუცემლად ჩემი მზერა მოხვდა ფურცელს, სადაც ერთმა სტრიქონმა მიიპყრო ჩემი ყურადღება „Va pensiero, sull'ale dorate“ – „გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით“.

შემდეგ გვერდებსაც გადავხედე, რამაც უდიდესი ზემოქმედება იქონია ჩემზე. მით უფრო, რომ ეს იყო ბიბლიის სიუჟეტი წიგნისა, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა.

წავიკითხე ერთი ფურცელი, შემდეგ – მეორე. მაგრამ გამახსენდა ჩემი გადაწყვეტილება, რომ არასოდეს დავწერდი მუსიკას. დავხურე რვეული და წავედი დასაძინებლად, მაგრამ „ნაბუქო“ არ მასვენებდა, დაძინება ვერ შევძელი. ავდექი და ტექსტი წავიკითხე არა ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ, არამედ იმდენჯერ, რომ დილისათვის სოლერას ლიბრეტო ზეპირად ვიცოდი.

მაინც, არ ვაპირებდი საკუთარი თავისადმი მიცემული სიტყვის გატეხვას. თეატრში მისვლისას გადავწყვიტე, ხელნაწერი მერელისათვის დამებრუნებინა.

– ხომ მართალაც მშვენიერია?! – მკითხა მერელიმ.

– ნამდვილად!

– აქციე ის მუსიკად!

– ეს აზრადაც არ მომსვლია!

– აქციე ის მუსიკად, გთხოვ!

ამ სიტყვების შემდეგ მან რვეული ქურთუკის ჯიბეში ჩამიტენა, მხრებზე ხელი მომიკიდა და ქუჩაში გამაგდო, ზურგს უკან კარი მომიხურა და გასაღებით ჩაკეტა.

რა უნდა მექნა? ჯიბეში „ნაბუქოს“ ტექსტით შინ დავბრუნდი. დღეს ერთი სტროფი, ხვალ – მეორე, აქ ერთი ნოტი, იქ – ფრაზა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შეიქმნა მუსიკა.

ეს იყო ის ოპერა, საიდანაც ჩემი, როგორც ხელოვნის, ცხოვრება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მომიხდა ბრძოლა მრავალრიცხოვანი მტრული ძალის წინააღმდეგ, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ „ნაბუქო“ ბედნიერ ვარსკვლავზე ქვეშ დაიბადა.

ებრაელების გუნდმა „Va pensiero, sull'ale dorate“ (136 ფსალმუნის თავისუფალი ინტერპრეტაცია), რომლის ტექსტმაც თავიდანვე მიიპყრო ვერდის ყურადღება, პირველივე სპექტაკლიდან მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა და დღემდე იტალიის არაოფიციალურ ჰიმნად ითვლება.



მოუსმინე გუნდს ოპერიდან „ნაბუქო“ „Va pensiero, sull'ale dorate“ და გამოთქვი შენი აზრი.



ფსალმუნი ძველბერძნული სიტყვაა და სახოტბო სადიდებელ საგალობელს ნიშნავს. 150 ფსალმუნი შესულია იუდეურ და ქრისტიანულ კანონიკურ წიგნებში. მათი ავტორი იუდეველთა მეფე დავითია.

შემსრულებელი მიუზიკლში

გამოსახე რიტმი პოლიეთილენის ჭიქისა და სხვადასხვა მოძრაობების გამოყენებით.

ითამაშე თამაში „გაიხსენე სახელი“.



9 და ა. შ.

თამაში

თამაშის წესი შემდეგია: მოსწავლეები წრეში სხდებიან და რიტმში ასრულებენ სურათზე გამოსახულ მოძრაობებს, ასახელებენ საკუთარ და რომელიმე კლასელის სახელს. ტემპის დარღვევის შემთხვევაში ან სახელის დაგვიანებით წარმოთქმისას, მოწაფე წრის ცენტრში გადაინაცვლებს და დაელოდება, ვიდრე არ დაასახელებენ მის სახელს.



მოისმინე რამდენიმე ნაწყვეტი სხვადასხვა მიუზიკლიდან:

1. „როგორ მივალნოთ წარმატებას ბიზნესში ხელგაუნძრევლად“ კომპ. ფრენკ ლესერი;

2. „პატარა პრინცი“, კომპოზიტორი ფრედერიკ ლოუ;

3. „ჰამილტონი“, კომპოზიტორი ლი მანუელ მირანდა;

4. „პატარა სერენადა“, კომპოზიტორი სტივენ სონდჰეიმი;

დაადგინე, ამ ჟანრის რომელი დამახასიათებელი თავისებურებები იჩენს თავს თითოეულ წარმოდგენილ ეპიზოდში:

1. მუსიკასა და ქორეოგრაფიას თანაბარი როლი ენიჭება სპექტაკლის სიუჟეტის განვითარებაში ან მთავარი გმირების დახასიათებაში.

2. მუსიკა ითვალისწინებს თანამედროვე პოპკულტურის ტენდენციებს და იყენებს მათ მხატვრული სახის შესაქმნელად.

3. მიუზიკლი არ ითხოვს შემსრულებელისგან ძლიერ ვოკალს. საკმარისია მუსიკალურობა და დრამატული ნიჭი.

4. შემსრულებელი, ე.წ. უნივერსალი უნდა იყოს; მას უნდა შეეძლოს მსახიობობა, სიმღერა და ცეკვა.



„როგორ მივალნოთ წარმატებას ბიზნესში ხელგაუნძრევლად“



„პატარა სერენადა“



„ჰამილტონი“



„პატარა პრინცი“

მოიძიე ინფორმაცია ამ კომპოზიტორებისა და ნაწარმოებების შესახებ.

„პატარა უფლისწული“

ნახე ფრაგმენტები ორი განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებიდან: რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლიდან „პატარა უფლისწული“, (უფლისწულისა და მელიის სცენა-დიალოგი) და ჰუმპერდინკის ოპერიდან „ჰენზელი და გრეტელი“ (ბავშვების დუეტს „ძამიკო, მოდი, ვიცეკვოთ“).

იმსჯელე, რა განსხვავებაა მოცემულ ფრაგმენტებს შორის:



1. როგორია მომღერალთა ტემბრი ხასიათობრივად: ხავერდოვანი, გამჭვირვალე, ფაქიზი, მკვეთრი, რბილი, წკრიალა?
2. რომელ რეგისტრში მღერის თითოეული პერსონაჟი: (მაღალი, საშუალო, დაბალი)?
3. რა განსხვავებაა ორი ნაწარმოების ინსტრუმენტულ თანხლებას შორის?
4. დააკვირდით და აღწერეთ მომღერალთა სიმღერის თავისებურება, არის თუ არა განსხვავება ორ ფრაგმენტს შორის, რაში გამოიხატება იგი?
5. რომელ ფრაგმენტშია სასიმღერო პარტია ლაპარაკთან მიახლოებული?



ოპერა „ჰენზელი და გრეტელი“



მიუზიკლი „პატარა უფლისწული“

მიუზიკლი „პატარა უფლისწული“ დაწერილია ფრანგი მწერლის, პედაგოგისა და მფრინავის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის იმავე სახელწოდების ალეგორიული ნოველის მიხედვით. ნოველაში მოთხრობილია ამბავი პატარა უფლისწულის, რომელსაც საკუთარი პლანეტა ჰქონდა. მას ლამაზმა, მაგრამ ჭირვეულმა ვარდმა აწყენინა, ბაობაბებმა კი პლანეტის დაპყრობა მოინდომეს. ნაწყენი უფლისწული სხვა პლანეტების მოსანახულებლად გაემგზავრა. მოხვდა დედამიწაზე, სადაც უამრავი თავგადასავალი გადახდა. უდაბნოში გაიცნო და დაუმეგობრდა მფრინავს. დედამიწაზე მან კიდევ ერთი მეგობარი გაიჩინა – მელია, რომელიც მოცემულ ფრაგმენტშია ასახული.

ოპერას „ჰენზელი და გრეტელი“ საფუძვლად უდევს გერმანელი მეზღაპრე ძმების, გრიმების იმავე ზღაპარი. ოპერის შინაარსი ანუ ლიბრეტო შემდეგია: „დედა, ფიჩხის მოსატანად, ტყეში აგზავნის და-ძმას ჰენზელსა და გრეტელს. ბავშვებს შემოალამდებათ, უღრან ტყეში გზა აებნევათ და შეშინებულებს, უცნაური არსებები ელანდებათ. დაღლილებს ჩაეძინებათ; გამთენიისას კი ულამაზესსა და

უცნაურ, ნამცხვრისგან აშენებულ სახლს დაინახავენ. აღმოჩნდება, რომ სახლი ბოროტ კუდიან დედაბერს ეკუთვნის. იგი ბავშვებს მოჯადოებულ სახლში შეიტყუებს და ჰენზელის შეჭმას განიზრახავს, მაგრამ და-ძმის სიყვარული და ერთგულება ჯადოქრობაზე ძლიერია. ისინი გავარვარებულ ღუმელში შეაგდებენ დედაბერს და სხვა ბავშვებსაც გაათავისუფლებენ ჯადოქრობისაგან. გამარჯვებული ჰენზელი და გრეტელი სიხარულით ეგებებიან მშობლებს, რომლებიც ბავშვების საძებრად, ტყეში წამოსულან“.

ამ ოპერის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სცენაა ცეკვა სიმღერით „ძამიკო, ერთად ვიცეკვოთ“.



რიკარდო კოჩანტე

ახალგაზრდა (იტალიური წარმოშობის) ფრანგმა მომღერალმა და კომპოზიტორმა რიკარდო კოჩანტემ (1974) სახელი გაითქვა მიუზიკლებით „პატარა უფლისწული“ და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“.



ენგელბერტ
ჰუმპერდინკი

გერმანელი კომპოზიტორი ენგელბერტ ჰუმპერდინკი (1854-1921) ცნობილია ოპერით „ჰენზელი და გრეტელი“. გერმანიის საოპერო თეატრებში ამ ოპერის დადგმა საშობაო ტრადიციად იქცა.

საოპერო ხმები

გაიმღერე სავარჯიშო, რომელსაც საოპერო მომღერლები ხშირად მღერიან.



დააკვირდი ეპიზოდებს სხვადასხვა ოპერიდან: ვ. ა. მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“ – ლამის დედოფლის არია; ჯ. პუჩინის „ტურანდოტი“ – კალაფის არია, ჟ. ბიზეს „კარმენი“ – ესკამილიოს კუპლეტები, ჯ. ვერდის „აიდა“ – მთავარი ქურუმის სოლო, შ. გუნოს „რომეო და ჯულიეტა“ – ჯულიეტას არია, ჟ. ბიზეს „კარმენი“ – კარმენის ხაბანერა.

იმსჯელე და ამოიცანი, როგორ გმირს განასახიერებს თითოეული შემსრულებელი.

ლამის დედოფალის პერსონაჟი ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“ ბოროტი ძალების მფარველია და უპირისპირდება სინათლის, სიბრძნისა და სიკეთის სამეფოს. მაგრამ, როგორც ყველა ზღაპარში, აქაც სიკეთე იმარჯვებს.

კალაფი ჯ. პუჩინის ოპერიდან „ტურანდოტი“ არის გამარჯვებული რაინდი, რომელმაც გამოიცილა ყველა გამოცანა და გააღვიძა სიყვარული პრინცესა ტურანდოტის გულში.

ესკამილიო ოპერიდან „კარმენი“ მამაცი ტორეადორია, რომელიც ხალხის სიყვარულით სარგებლობს.

მთავარი ქურუმი ოპერიდან „აიდა“ უდიდესი ძალაუფლების მქონე ბრძენია.

ჯულიეტას არია ოპერიდან „რომეო და ჯულიეტა“ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გოგონას პორტრეტია.

კარმენი ოპერიდან „კარმენი“ ძლიერი, თავდაჯერებული ქალია.



რამფისი – ქურუმი.
„აიდა“



ტორეადორი ესკამილიო
„კარმენი“



კალაფი
„ტურანდოტი“



ლადის დედოფალი
„ჯადოსნური
ფლეიტა“



ჯულიეტა
„რომეო და ჯულიეტა“



კარმენი
„კარმენი“

საოპერო ხმები იყოფა დიაპაზონის მიხედვით.



დიაპაზონი — სასიმღერო ხმის ან საკრავის ბგერითი მოცულობაა.

ქალთა ხმები

სოპრანო – მაღალი ხმა;

კოლორატურული*

პრანო – სოპრანოს სახეობაა, როლისთვისაც დამახასიათებელია სისხარტე, ვირტუოზულობა, განსაკუთრებულად მაღალი ბგერების აღება, მდიდრულად მოკაზმული, უხვი მელიზმებით დატვირთული* მელოდიის შესრულების შესაძლებლობა. სიტყვა **კოლორატურული** ხმის თავისებურებაა, მისი ხარისხი და განსაკუთრებული შესაძლებლობა. არსებობს კოლორატურული სოპრანო და კოლორატურული მეცო სოპრანოც.

მეცო სოპრანო – საშუალო;

კონტრალტო ან ალტი – დაბალი.

მამაკაცთა ხმები

ტენორი – მაღალი;

ბარიტონი – საშუალო;

ბანი – დაბალი.

ბავშვთა ხმები

დისკანტი – მაღალი;

ალტი – დაბალი.



ოპერაში მოქმედი გმირი გრძნობებს გადმოსცემს სიმღერის სოლო ნომრით – **არიით**.



მოისმინე ფრაგმენტები ოპერებიდან და დაადგინე, რომელი საოპერო ხმისათვის არის დანერგილი ესა თუ ის საოპერო ნომერი.

მოიძიე ინფორმაცია გამოჩენილი ქართველი მომღერლების შესახებ, რომლებიც მთელ მსოფლიოში აღიარებით სარგებლობენ.

„ვესტსაიდური ისტორია“



ყურადღებით უყურე ფრაგმენტებს ლეონარდ ბერნსტაინის კინომიუზიკლ* „ვესტსაიდური ისტორიიდან“.



მოუსმინე და დააკვირდი: „რაკეტების“ (პოლონელი ამერიკელი ახალგაზრდების დაჯგუფება) და „ზვიგენების“ (პუერტორიკელი ახალგაზრდების დაჯგუფება) სცენებს ინტროდუქციამი*; „ზვიგენების“ და „რაკეტების“ ცეკვას კლუბში; ტონის სიმღერას; მარიას სიმღერას; მარიასა და ტონის სცენა-დუეტს აივანზე, „ზვიგენების“ ცეკვას.

ყოველი ფრაგმენტის ნახვისა და მოსმენის შემდეგ იმსჯელე ნაწყვეტების შინაარსზე, გმირების ხასიათსა და მათ განცდებზე.



1. რა როლი ენიჭება ცეკვას?
 - ა) ცეკვა მოქმედების უშუალო ნაწილია;
 - ბ) ცეკვა მოქმედების მსვლელობაში ჩანართის როლს ასრულებს და ესთეტიური დანიშნულება აქვს;
2. რომელი ცეკვის რიტმი აქვს მიუზიკლის საცეკვაო ნომრებს? – ვალსის, ლენდლერის, პოლონეზის, კონტრდანსის, ლათინურ-ამერიკული – სამბას?
3. შემოთავაზებულ მიუზიკლში მსახიობის რომელ მონაცემს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა?
 - ა) არტისტიზმს;
 - ბ) ვოკალურ მონაცემებს;
 - გ) ქორეოგრაფიულ შესაძლებლობებს;
 - დ) ყველაფერს ერთად.

გაეცანი „ვესტსაიდური ისტორიის“ შინაარსს, რომელიც აგებულია ინგლისელი დრამატურგი* პოეტის, უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ სიუჟეტზე.

პიესა „რომეო და ჯულიეტა“ მრავალი კომპოზიტორის შთაგონების წყარო გახდა. მაგ., სერგეი პროკოფიევმა დაწერა მუსიკა ბალეტისათვის „რომეო და ჯულიეტა“, პიოტრ ჩაიკოვსკის ეკუთვნის საორკესტრო უვერტიურა-ფანტაზია იმავე სახელწოდებით, რიკარდო კოჩანტემ ამ თემაზე მიუზიკლი შექმნა. ბერნსტაინის მიუზიკლ „ვესტსაიდური ისტორიაში“ მოქმედება ხდება აშშ-ში, გასული საუკუნის 50-იან წლებში და აღწერილია, თუ როგორ შეეწირა ტონისა და მარიას სიყვარული ახალგაზრდათა დაჯგუფებების, პოლონელ-ამერიკელი „რაკეტებისა“ და პუერტორიკელი „ზვიგენების“, დაპირისპირებას. ნაწარმოების იდეა აგრესიის გმობა, მოწოდება სიყვარულის, მშვიდობისა და მეგობრობისაკენ.

ბერნსტაინის მიუზიკლში მთავარი გმირების პარტიების, ასევე საანსამბლო ნომრების შესრულება მაღალ ვოკალურ ხარისხს მოითხოვს. ამიტომ კინომიუზიკლის შექმნისას კომპოზიტორმა მოიწვია შესაძლებლობებს საოპერო მომღერლები – სოპრანო კირი ტეკანავა და ტენორი ხოსე კარერასი.




„რაკეტები“




„ზვიგენები“

ლეონარდ ბერნსტაინი პირველი ამერიკელი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტია, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იგი დირიჟორობდა ნიუ-იორკის და მსოფლიოს სხვადასხვა ფილარმონიურ ორკესტრებს. ბერსტაინმა პირველად შეასრულა ამერიკული პროფესიული მუსიკის ნიმუშები. რამდენიმე მიუზიკლის ავტორია, მათ შორისაა, „ვესტსაიდური ისტორია“. ასევე შექმნა ოპერები, სიმფონიები, ბალეტები, მუსიკა კინოსა და თეატრისათვის. ბერნსტაინი ცნობილია საბავშვო ლექციებით მუსიკაზე.



ლეონარდ ბერნსტაინი

🎵 იმღერე სიმღერა მიუზიკლიდან “A Girl’s Song and Ballet Sequence”.



იხ. დანართი.

„ვერის უბნის მელოდიები“

 დააკვირდი ფრაგმენტს ქართული მიუზიკლიდან „ვერის უბნის მელოდიები“, მრეცხავების სიმღერას. „ვერის უბნის მელოდიები“ პირველი ქართული მიუზიკლია. მუსიკის ავტორია გიორგი ცაბაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი გიორგი შენგელაია, მთავარ როლებში არიან გამოჩენილი მსახიობები სოფიკო ჭიაურელი და ვახტანგ კიკაბიძე. მთავარი გმირის პარტიას მღერის ნანი ბრეგვაძე.

იმსჯელე და დაადგინე ორი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების ჟანრს. ჩამოთვალე თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია საოპერო ხელოვნებასთან და გაარკვიე მოცემული ნომერი საგუნდოა თუ საანსამბლო?



ვერის უბნის მელოდიები

 მოუსმინე გოგონების დუეტს და იმსჯელე ხმის რეგისტრსა და ტემბრზე, გაიხსენე და ჩამოთვალე ბავშვთა ხმები. რომელი გოგონა მღერის დისკანტის პარტიას და რომელი – ალტს. შეადარე დუეტი მიუზიკლიდან „გენიოსების“ ტერცეტს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტიდან“.

იმსჯელე, ორი ჟანრის მსგავსებასა და განსხვავებაზე.



„ვერის უბნის მელოდიები“



„ჯადოსნური ფლეიტა“

 იმდერე სიმღერები მიუზიკლიდან „ვერის უბნის მელოდიები“.



იხ. დანართი.



იხ. დანართი.

გაიხსენე, რა არის დუეტი და ტრიო.

გიორგი (გოგი) ცაბაძე – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორია. განსაკუთრებით პოპულარულია და ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობს მისი სიმღერები: „მთანმინდის მთვარე“, „თბილისის მუხამბაზი“, ქუჩა-ქუჩა“, „მეფაიტონე“. გოგი ცაბაძემ „ვერის უბნის მელოდიების შექმნით“, საფუძველი ჩაუყარა ქართულ მიუზიკლს. მას დაწერილი აქვს მუსიკა თეატრისათვის, ოპერეტები და სხვა.



როიალთან, გოგი ცაბაძე

დააკვირდი ტექსტს, მოუსმინე გოგონების დიალოგს მიუზიკლიდან „ვერის უბნის მელოდიები“ და აღნიშნე ის სიტყვები, რომლებსაც განსაკუთრებულად გამოყოფენ მსახიობები. გამოთქვი აზრი, რა ხერხითაა ეს მიღწეული: ტემბრული ცვლილებით, სიტყვაში რომელიმე მარცვლის გახანგრძლივებით, ბგერის გაძლიერებით თუ ბგერის სიმაღლის შეცვლით.

დასვი ფურცელზე შესაბამისი ნიშნები: crescendo = <, diminuendo = >, forte = f, piano = p, ritenuto=rit., accelerando=accel., fermato= ♯.

დაადგინე, რომელ მუსიკალურ ტემპს მიესადაგება გოგონების დიალოგი: allegro თუ adagio.

- | | |
|--------------|--|
| თამრო | – მარო! მარო! გაიღვიძე! ნახე, ბუხარში რამოდენა ცეცხლია, ვაი! |
| მარო | – რა კარგი ცეცხლი ყოფილა! ნახე, რამხელა თოვლი მოსულა! |
| თამრო | – უი, ჩვენი დროგი სულ სავსეა შევით. |
| მარო | – რა ლამაზია! |
| ორივე | – მთელი ზამთარი თბილად ვიქნებით! |
| მარო | – ვაი! თამრო, თამრო, ნახე რა სუნია! |
| ორივე | – რა სუნია! |
| თამრო | – რა გემრიელი სადილი გვექნება! |
| ორივე | – რა კარგია! |

კლასში გაინაწილეთ და წაიკითხეთ მოცემული ტექსტი.

ჩაწერე ინტონაცია, როგორც ტრადიციული სანოტო სისტემით, ასევე სხვადასხვა ნიშნით, პიქტოგრამებით.

„ოლივერი“



მოუსმინე ლაიონელ ბარტის მიუზიკლ „ოლივერის“, რომლის ლიბრეტო დაიწერა ჩარლზ დიკენსის რომანის „ოლივერ ტვისტის თავგადასავლის“ მიხედვით. მიუზიკლის პრემიერა შედგა 1960 წელს ლონდონში, ხოლო რამოდენიმე წელიწადში მის საფუძველზე შეიქმნა ფილმი, რომელმაც საქვეყნო აღიარება მოიპოვა და რამოდენიმე „ოსკარი“ მიიღო. ფილმში მთავარ როლს თამაშობს მარკ ლესტერი. ცნობილია, რომ მარკ ლესტერი და უდიდესი პოპვარსკვლავი მაიკლ ჯექსონი უახლოესი მეგობრები იყვნენ.

ლაიონელ ბარტი ინგლისელი მწერალი და კომპოზიტორია. საყოველთაოდ ცნობილი გახდა მიუზიკლით „ოლივერი“. აღსანიშნავია ის, რომ მიუზიკლის მუსიკაც და ტექსტიც ლაიონელ ბარტს ეკუთვნის.

ჯაკომო პუჩინი იტალიელი საოპერო კომპოზიტორია. ავტორია ოპერებისა: „ბოჰემა“, „ტოსკა“, „ჩიო-ჩიო-სანი“ იგივე „მადამ ბატერფლაი“, „ტურანდოტი“.



უყურე ფრაგმენტებს და შეადარე, რომელია დაწერილი მიუზიკლის და რომელი – ოპერის ჟანრში. დაახასიათე სამი ნიშან-თვისება, რის მიხედვითაც მიაკუთვნე ფრაგმენტი ამა თუ იმ სახეობას.

1. ლ. ბარტი. მიუზიკლი „ოლივერი“ – სცენა სასადილოში; ბიჭუნების გუნდი
2. ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენი“ – სცენა მოედანზე; ბიჭუნების გუნდი.
3. ლ. ბარტი. მიუზიკლი „ოლივერი“ – სცენა დუქანში. ნენსის სიმღერა.
4. ჯ. პუჩინი. ოპერა „ბოჰემა“ – სცენა ტავერნაში. მიუზეტას ვალსი.



1. რომელი გუნდის შესრულება საჭიროებს მაღალ ვოკალურ ტექნიკას?
2. რა აქვთ საერთო და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მიუზეტას ვალსი და ნენსის სიმღერა: ა) ბგერის წარმოთქმით; ბ) მეტრით; გ) სცენის შინაარსით.
3. რომელ ფრაგმენტში აქვს სიმღერას, ცეკვასა და მოქმედებას თანაბარი მნიშვნელობა და რომელ ფრაგმენტშია წამყვანი ვოკალური პარტია?



ლაიონელ ბარტი



ჯაკომო პუჩინი




ჟ. ბიზე „კარმენი“



ლ. ბარტი „ოლევერი“ სცენა ღუქანში

იმღერე სიმღერა მიუზიკლიდან.



იხ. დანართი.



ლ. ბარტი „ოლევერი“ სცენა სხვენში



ჯ. პუჩინი „ბოჰემა“.



მოისმინე სცენა სხვენში „ოლევერიდან“, იმსჯელე სიმღერის შინაარსსა და დადგმაზე. ასევე, „დილის სცენას“, სადაც ვოკალური პარტიები კონტრაპუნქტულ მრავალხმიანობას ქმნის. დააკვირდი, რამდენი სხვადასხვა მელოდია ჟღერს გუნდში ერთდროულად.

მოძებნე „კონტრაპუნქტის“ განმარტება ლექსიკონში და გაიხსენე ამ ტერმინის მნიშვნელობა.



ლ. ბარტი „ოლევერი“ დილა

„მუსიკის ჰანგები“



მოუსმინე ფრაგმენტებს რიჩარდ როჯერსის მიუზიკლ „მუსიკის ჰანგებიდან“. სადაც აღწერილია ავსტრიული მუსიკალური ოჯახის, ფონ ტრაპების ისტორია.



კადრი მიუზიკლიდან „მუსიკის ჰანგები“



მარია ფონ ტრაპი, ოჯახთან ერთად

რა ჟანრს მიეკუთვნება მოსმენილი ფრაგმენტები? დაასაბუთე მოსაზრება, აღნიშნე, რომელი გამომსახველი ხერხები იძლევა საფუძველს ამ ჟანრის განსაზღვრისათვის.

რიჩარდ როჯერსი ამერიკელი კომპოზიტორია. იგი მიუზიკლ „მუსიკის ჰანგების“, 900-მდე სიმღერისა და ბროდვეის* 43 მიუზიკლის ავტორია, პირველი კომპოზიტორი, რომელიც ერთდროულად ფლობს ემის, გრემის, ოსკარის, ტონი ევარდის პრიზებსა და პულიცერის პრემიას.



რიჩარდ როჯერსი



პულიცერის პრემია – ჯილდო, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლისათვის ანიჭებენ ჟურნალისტებს, მწერლებსა და კომპოზიტორებს.

ბროდვეი – კრებითი სახელწოდება 40-ზე მეტი დიდი კომერციული თეატრისა, რომლებიც განლაგებულია ნიუ-იორკში, ბროდვეის ქუჩაზე, მანჰეტენის თეატრალურ კვარტალში. ასეთივეა ლონდონში ქოვენტ-გარდენი. ბროდვეიზე საფუძველი ჩაეყარა ამერიკულ თეატრალურ კულტურას. აქ იდგმება მიუზიკლებიც. ბროდვეიმ, ისევე როგორც ჰოლივუდმა, უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბებაში.



ბროდვეი



მოისმინე „ედელვაისი“ რიჩარდ როჯერსის „მუსიკის ჰანგებიდან“ და „ყვავილების დუეტი“ ლეო დელიბის „ლაკმედან“, (ამერიკელი სოპრანო ნადინ სიერასა და ქართველი მეცო სოპრანო ანიტა რაჭველიშვილის შესრულებით).

დაადგინე, მოსმენილი ფრაგმენტებიდან, რომელს მიესადაგება შემდეგი სიტყვები: ა) მიუზიკლი არ ითხოვს შემსრულებლისაგან მნიშვნელოვან ვოკალურ მონაცემებს საკმარისია მუსიკალობა და დრამატული ნიჭი; ბ) ოპერაში მთავარი ყურადღება ექცევა შემსრულებლის ვოკალურ მონაცემებს და მაღალ სასიმღერო ტექნიკას.



უყურე ფრაგმენტებს: ლენდლერს რიჩარდ როჯერსის „მუსიკის ჰანგებიდან“ და „მამბოს“ ლეონარდ ბერსტაინის „ვესტსაიდური ისტორიიდან“



ამ ორი ცეკვიდან რომელი მიეკუთვნება ძველებურ ავსტრიულსა და რომელი – ლათინო-ამერიკულს?

იმღერე სიმღერები „ედელვაისი“, „დო, რე, მი...“ და „მარტოხელა მწყემსი“ The lonely Goatherd.



იხ. დანართი

ამოიცანი ხასიათი

გაიხსენე კანონი და იმღერე კლასელებთან ერთად. ამოიკითხე ბანის გასაღებში მამაკაცთა ხმისთვის ჩანერილი ამ კანონის მეორე მელოდია.

C-a-f-f-e-e

Kanon zu 3 Stimmen Melodie und Text: Karl Gottlieb Hering (1766-1833)

C - a - f - f - e - e, trink nicht so viel Caf - fee,
 nicht für Kin - der ist der Tür - ken - trank, schwächt die Ner - ven, macht dich blaß und krank,
 sei doch kein Mu - sel - mann, der ihn nicht las - sen kann.

ბანისთვის

C - a - f - f - e - e, trink nicht so viel Caf - fee,
 nicht für Kin - der ist der Tür - ken - trank, schwächt die Ner - ven, macht dich blaß und krank,
 sei doch kein Mu - sel - mann, der ihn nicht las - sen kann.

Bayer H. R. Wenzel

დააკვირდი გმირების პორტრეტებს მიუზიკლ „კორდებალეტიდან“ და დაახასიათე ისინი:



- ა) თავგანწირული, შეყვარებული;
- ბ) მხიარული, მოხერხებული;
- გ) ამაყი, დამოუკიდებელი.

წარმოიდგინე სხვადასხვა სტილის და ჟანრის მუსიკალური ფრაგმენტები. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი, რომელი ხასიათის გმირს შეეფერება? დაასახელე ამ ფრაგმენტებში წარმოდგენილი სტილი ან ჟანრი:

- ა) ფოქსტროტი*
- ბ) სიმღერა-ბალადა*
- გ) სამბა*



უყურე მუსიკალურ ნომრებს მიუზიკლიდან და დაადგინე, რამდენად სწორად გამოიყენა თითოეული გმირის მუსიკალური დახასიათება. ასევე ფრაგმენტები ორი მიუზიკლიდან, დააკვირდი სურათებს და ამოიცანი, რომელ სურათს შეიძლება მოარგო მოცემული მუსიკალური თანხლება.



მოისმინე ლენსკის არია პიოტრ ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინიდან“ და ედგარის არია გაეტანო დონიცეტის ოპერა „პოლკის ქალიშვილიდან“.



1. მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელ არიაშია გადმოცემული მეოცნებე, რომანტიული ყმაწვილის ხასიათი?
2. რამ გიკარნახათ თქვენი პასუხი? რა განწყობას გიქმნით ედგარის არიაში ხშირად გამოყენებული მაღალი ბგერები? გადმოსცემს: ა) გმირის გულისტკივილს; ბ) გმირის პანიკურ შიშს; გ) გმირის უდარდებლობას.
3. რამ განაპირობა თქვენი პასუხი?



მოუსმინე ფრაგმენტებს ოპერებიდან: ვინჩენცო ბელინი. „ნორმა“ – Casta Diva. ჯუზეპე ვერდი. „ტრავიატა“ – სუფრული.



1. რომელი არია შეიძლება ასახავდეს ლოცვას ტაძარში?
2. რომელ ფრაგმენტშია მოცემული სადღესასწაულო განწყობა?



დააკვირდი მოცემული მუსიკალური ნომრების ვიდეოჩანაწერს და იმსჯელე, რამდენად სწორი იყო შენი ვარაუდი.



ფოქსტროტი* — ამერიკული ცეკვა, რომელიც მსახიობმა ჰარი ფოქსმა შექმნა. გასული საუკუნის დასაწყისში ფოქსტროტი ევროპაშიც გავრცელდა. ეს ცეკვა ჰაეროვანი და მსუბუქია, რბილ ნაბიჯებზეა აგებული.

სიმღერა-ბალადა* თხრობითი ხასიათის სიმღერაა.

სამბა* – ლათინურ-ამერიკული ცეკვა, შეიქმნა ბრაზილიური და აფრიკული ცეკვების გაერთიანების შედეგად.

„ქეთო და კოტე“

ოპერა „ქეთო და კოტე“ დაიწერა ცნობილი დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის პიესა „ხანუმას“ მიხედვით. ეს პიესა რეალისტურად ასახავს XIX საუკუნის თბილისის ყოფა-ცხოვრებას. ოპერის ლიბრეტოს ავტორი თავად კომპოზიტორი იყო. რედაქტორი კი ცნობილი ქართველი პოეტი იოსებ გრიშაშვილი. „ქეთო და კოტე“ პირველი ქართული კომიკური ოპერაა და ახასიათებს ამ ჟანრის ყველა თვისება: ყოფითი სიუჟეტი, კომიკური სცენები და პერსონაჟები, სალაპარაკო დიალოგები, ვოკალური სწრაფსათქმელები, უხვი საცეკვაო და სასიმღერო ნომრები.

საოპერო სპექტაკლში სხვადასხვა მუსიკალური ნომერი ენაცვლება ერთმანეთს: არია, რეჩიტატივი, სიმღერა, რომანსი, კუპლეტები, გუნდი და სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლი: დუეტი, ტერცეტი, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი და ა.შ., ასევე საცეკვაო ნომრები.



მოისმინე ფრაგმენტები ოპერა „ქეთო და კოტედან“:

მაკარის არია – „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“;

რეჩიტატივი;

კოტეს რომანსი – „ნაზი ხარ ნაზი“;

სტუმრების შემოსვლა გუნდი – „სალამი ჩვენს მასპინძელსა“;

ქეთოს არია „ერთ სალამოს“;

კვინტეტი – ქეთო, ბარბარე, კოტე, სიკო და საქო – „ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს“;

ქეთოს და კოტეს დუეტი;

მაზურკა;

ცეკვა „ქართული“.

ნაიკითხე ქვემოთ მოყვანილი განმარტებები და ამის მიხედვით დაადგინე, რომელ ფრაგმენტში სრულდება არია, რომანსი, დუეტი, კუპლეტები. სად ჟღერს გუნდი და ანსამბლი. რომელ ფრაგმენტშია გამოყენებული რეჩიტატივი თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტიშია წარმოდგენილი ცეკვები?



არია ოპერის სოლო ეპიზოდია, რომელსაც მომღერალი ორკესტრის თანხლებით ასრულებს. არია გამოირჩევა მელოდიურობით. მასში იხსნება ოპერის გმირის ხასიათი, მისი სულიერი მდგომარეობა.

დუეტი საოპერო ნომერია, რომელიც ორი მოქმედი პირის მიერ სრულდება.

კანცონა (იტალ. სიმღერა) მოქმედი გმირის სოლო სასიმღერო ნომერია, რომელიც სიუჟეტის შესატყვის, მოქმედებაში ჩართულ სიმღერას წარმოადგენს.

რეჩიტატივი ლაპარაკთან მიახლოებული სასიმღერო საოპერო ნომერია.

გუნდი მოქმედ პირთა ჯგუფური ვოკალური ნომერია.

რომანსი – ოპერაში სატრფოსადმი მიძღვნილი სასიყვარულო შინაარსის სოლო ნომერი.

ანსამბლი – ორი და მეტი შემსრულებლის მიერ ნაწარმოების შესრულება ან ასეთი შემადგენლობისათვის დაწერილი ქმნილება.

კუპლეტები – ოპერის სასიმღერო ნომერი, რომელიც მუსიკალურად ერთსა და იმავე მელოდიაზე აგებული სასიმღერო სტროფებისაგან შედგება.

ვიქტორ დოლიძე. (1890-1933) დაიბადა ოზურგეთში. ბავშვობიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით. მაგრამ ოჯახი მას ბანკის მოხელის კარიერას უმზადებდა. უკრავდა გიტარაზე და მანდოლინაზე, ჩამოაყალიბა ამ საკრავებზე დაკვრის წრე, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. სწავლობდა კიევში კომერციულ სასწავლებელში. პარალელურად ეუფლებოდა ვიოლინოზე დაკვრას. ავტორია ოთხი ოპერის მათ შორის ყველაზე ცნობილია „ქეთო და კოტე“. ვიქტორ დოლიძემ შექმნა სიმფონიური სურათი „ივერიადა“ და საფორტეპიანო კონცერტი. გატაცებული იყო ოსური ფოლკლორით და ჩაწერა ამ კუთხის 200-მდე ხალხური სიმღერა. დაკრძალულია თბილისის დიდუბის პანთეონში.



ვიქტორ დოლიძე

წაიკითხე ოპერა „ქეთო და კოტეს“ მოქმედი გმირების დახასიათება. განსაზღვრე, რომელ პერსონაჟს რომელი სასიმღერო ხმა შეესაბამება და დაასრულე მოცემული წინადადებები.

1. ახალგაზრდა კოტე სულ ახლახანს დაბრუნდა სამშობლოში. მას უყვარს ქეთო და ოცნებობს ცოლად შეირთოს. კოტეს პარტია* დაწერილია...
2. მაკარი მდიდარი ვაჭარია, რომელსაც სურს თავისი ქალიშვილი ასაკოვან თავად ლევან ფალავანდიშვილს მიათხოვოს. მაკარი მღერის არიას „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“. მაკარის პარტია დაწერილია . . .
3. ქეთო თავის არიაში იხსენებს, როგორ გაიცნო კოტე თეატრში და უნაზეს გრძნობას ავლენს მის მიმართ. ქეთოს პარტია გამოირჩევა განსაკუთრებული ვირტუოზულობითა და მოქნილობით. დაწერილია . . .
4. ბაბალე მაჭანკალია, რომელმაც მოატყუა არანაკლებ გამოცდილი მაჭანკალი ბაბუსი, თავადი ლევანი, ვაჭარი მაკარი და სტუმრები. მისი წყალობით მოხერხდა ქეთოსა და კოტეს ჯვრისწერა. ბაბალეს პარტია დაწერილია . . .



მოუსმინე სხვადასხვა ფრაგმენტების: მაკარის არია, კოტეს რომანსი, ქეთოს არია, ბაბალეს პარტია ფინალში და შედარე საკუთარ ვარაუდს.



მოუსმინე რეჩიტატივს და ჩაწერე პიქტოგრამებით.

საქო – ბატონო მაკარ!

მაკარი – რა ამბავია?

საქო – სასამართლოს გამომძიებელი გიბარებს საჩქაროდ,
ვილაცას

შენი სახელით 4000 ათასი ყალბი ფული გაუცია.

მაკარი – თქვენთან, უკაცრავად, ვეცდები ჩქარა დავბრუნდე.
და იმედი მაქვს, რომ არ მოიწყენთ. საქო!

საქო – ბატონო


მაკარი – აბა შენ იცი საქმეს როგორ მიხედავ.
ქეთოს უთხარი, ჩქარა გამოვიდეს!

საქო (სიკოს) – კეთილი! ბარბარეს უთხარით, ჩქარა გამოვიდეს!

საქო (სტუმრებს) – ბატონებო, სარძლო მოდის!

წაიკითხე და ჩაწერე „რეჩიტატივის“ ინტონაცია სხვადასხვა ნიშნით.

ითამაშე თამაში „გაიხსენე სახელი“.



9 და ა. შ.

„სევილიელი დალაქი“



ნახე და მოისმინე ფრაგმენტები ჯოაკინო როსინის ოპერიდან „სევილიელი დალაქი“, ნაიკითე ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და ამის მიხედვით, ამოიცანი პერსონაჟი, საანსამბლო ნომერი. დაადგინე საორკესტრო ეპიზოდის შემთხვევაში, ოპერის უვერტიურაა თუ მოქმედებაში ჩართული ნომერი – ინტერმედია*.

უვერტიურა – ორკესტრი ჟღერს საზეიმო განწყობით, ინტონაციები სავსეა იუმორით, სხვადასხვა ინსტრუმენტის გადაძახილები ქმნის მდიდარ ფერთა პალიტრას. შემდგომ, ჟღერს სხარტი, მკაფიო რიტმის მქონე თემა. პაუზებით დაყოფილი, მოკლე ფრაზებად აგებული მელოდია ორკესტრის მკაფიო რიტმის ფონზე, თითქოს, მოქმედ გმირთა საიდუმლო შეთქმულების ინტონაციებს გადმოგვცემს. თავიდანვე ნათელია, რომ ოპერა კომიკური სიუჟეტით განვითარდება. მეორე მღერადი თემა მოქმედ პირთა სილალესა და ხალისზე მიგვანიშნებს. თანდათან, მუსიკა თანდათან აღმავალი კულმინაციისაკენ მიიწევს. უვერტიურის დამაგვირგვინებლისაზეიმო აკორდები სრული საორკესტრო შემადგენლობით ჟღერს.

ფიგაროს კავატინა* (ბარიტონი)

სიცოცხლით სავსე დალაქი ქება-დიდებათ ყვება თავის თავზე, როგორი მნიშვნელოვანი პერსონაა და როგორ უხმობს ყველა საშველად. ფიგაროს სოლო ჟღერს სწრაფ ტემპში, დინამიურად მიიწევს დასასრულისაკენ. სიტყვების სწრაფი გამლერება იუმორს სძენს პერსონაჟის კავატინას.

გრაფ ალმავივას კანცონა* (ტენორი)

გრაფი სატრფოს კანცონას უმღერის. კანცონა იტალიურად სიმღერას ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ეს სერენადაა, რადგან გრაფი, გიტარის თანხლებით, ფანჯარასთან უმღერის თავის რჩეულს. (სხვა შემთხვევაში, კანცონა არის სიმღერა, რომელსაც, სიუჟეტის მიხედვით, მღერის მოქმედი გმირი).

ფიგაროსა და გრაფის დუეტი

ოპერის გმირები – ფიგარო და გრაფი ალმავივა ეცნობიან ერთმანეთს და გრაფის როზინაზე დაქორწინების გეგმას დასახავენ. ფიგარო აღუთქვამს დახმარებას, გრაფი კი პირდება გასამრჯელოს.

როზინას კავატინა (კოლორატურული მეცო სოპრანო)

როზინა ოცნებობს უცნობ ჭაბუკზე, რომელმაც სერენადებით მოხიბლა და შეაყვარა თავი. კავატინა ვირტუოზულობით გამოირჩევა, რაც კოლორატურული მეცო სოპრანოს პარტიისათვის არის დამახასიათებელი.

რეჩიტატივი* და ბაზილიოს არია (ბანი)

ბარტოლოს ესტუმრა მეგობარი დონ ბაზილიო, რომელმაც ჭორი მოიტანა – თითქოს, გრაფ ალმავივას როზინა უყვარს. ისმის მშრალი, სალაპარაკო მეტყველებასთან მიახლოებული დიალოგი, რეჩიტატივი secco, კლავესინის თანხლებით.

„ჭორი ჯერ სიოსავით დაფრინავს, მერე კი ქარიშხლად გადაიქცევა და ქვეყანას მოედება“. ბაზილიოს არია ამ სიტყვების შესაფერისად ვითარდება.

სცენა, მამაკაცთა გუნდი და სექსტეტი

ფიგაროსა და ალმავივას ჩანაფიქრის მიხედვით, გრაფი ალმავივა როზინას სახლში ცდილობს ოთახი დაიქირავოს და ნასვამი ჯარისკაცის სახით გამოეცხადება ბარტოლოს. სახლის პატრონი აღშფოთებულია და აყალმყალი ატყდება. დონ ბარტოლო უხმობს ჯარისკაცებს, რათა ახალგაზრდა ჯარისკაცი თავიდან მოიშოროს.

აღმავივა ოფიცერს ჩუმად გაუმხელს ვინაობას. ოფიცერი, ჯარისკაცებთან ერთად, სახლს მყისიერად ტოვებს.

ბარტოლოს სცენა, რეჩიტატივი და არია (კომიკური ბანი, ბასსო-ბუფა)

ბარტოლო თხოვს მუსიკის მასწავლებელს, რომელიც სინამდვილეში გადაცმული აღმავივაა, დაუკრას აკომპანემენტი როზინასადმი მიძღვნილი სიმღერისათვის. ბარტოლო მღერის და როზინას მიმართ თავის გრძნობას ავლენს.

საორკესტრო ჩანართი

ავდარია. წვიმის წვეთების იმიტაციას ხის ჩასაბერი საკრავები აკეთებს, ელვის სურათს კი გლისანდო ხატავს. საორკესტრო პარტიაში თანდათან საკრავთა სხვა ჯგუფები ჩაერთვება და საორკესტრო შესრულება ქარბუქს, ჭექა-ქუხილსა და ძლიერ წვიმას გვიხატავს.

ტერცეტი

მოხერხებული ფიგარო გრაფს და როზინას სახლიდან გააპარებს. ისინი ეკლესიაში მიდიან ჯვრის დასაწერად.

ფინალური სცენა.

აღმავივა და როზინა ბედნიერები არიან. ყველა ზეიმობს მათ ბედნიერებას.



ინტერმედია – ძირითად საოპერო სცენებს შორის მოცემული ჩანართი: ინსტრუმენტული, ვოკალური ან მეტყველება-დიალოგი.

ფინალი – მუსიკალური ნაწარმოების (ოპერის, ბალეტის, სიმფონიის ან სონატის) დასკვნითი, დამასრულებელი ნაწილი.

buffa (ბუფა) – კომიკური ოპერის ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყოფით თემაზე აგებული სიუჟეტი, კომიკური სიტუაციები და პერსონაჟები; არიასა და საანსამბლო ნომრებში გამოყენებულია ვოკალური სწრაფსათქმელები; მთავარ მოქმედ გმირებს აქვთ პირველი გამოსასვლელი არია – კავატინა; არიებს, საანსამბლო ნომრებსა და გუნდებს შორის ჩართულია რეჩიტატივი secco – „მშრალი“ რეჩიტატივი, რომელიც კლავესინის თანხლებით სრულდება; ოპერა buffa ორ მოქმედებას შეიცავს და ყოველი მოქმედება დიდი საანსამბლო ნომრით მთავრდება.

„ჯადოსნური ფლეიტა“

ავსტრიულ-გერმანული თეატრის ერთ-ერთი ჟანრია ზინგშპილი – სპექტაკლი მუსიკალური ნომრებით. Singspiele – გერმანულად, სიმღერასა და თამაშს ნიშნავს. თავისი ნიშან-თვისებით, ეს ჟანრი თანამედროვედ მიუზიკლის ერთ-ერთი წინამორბედი.

ზინგშპილის საფუძველზე მოცარტმა ახალი საოპერო ჟანრი შექმნა, სადაც რეჩიტატივების ნაცვლად საუბარი, დიალოგებია გამოყენებული. ზინგშპილის ლიბრეტო იწერება გერმანულ ენაზე, ახასიათებს ყოფითი ან ზღაპრული სიუჟეტი, და მონაწილეობს რამოდენიმე კომიკური პერსონაჟი.

წაიკითხე მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ ლიბრეტო და მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები: **პაპაგენოს სიმღერა, პაპაგენოს და პამინას დუეტი ზანზალაკები – გუნდით, ღამის დედოფლის არია, სამი გენიოსი ტრიო, პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი** – მიუსადაგე ლიბრეტოს ეპიზოდებს.

„ღამის დედოფლის სამფლობელოში შემთხვევით აღმოჩნდება უფლისწული, რომელსაც საშინელი გველი მოსდევს. დედოფლის ფრეილინები უფლისწულ ტამინოს გადაარჩენენ, სანაცვლოდ, კი დედოფლის ქალიშვილის პამინას გათავისუფლებას თხოვენ. ისინი ტამინოს პამინას სურათს უჩვენებენ და ეუბნებიან, თოთქოს, ბოროტმა ჯადოქარმა ზარასტრომ მოიტაცა. უფლისწულს ერთი დანახვით შეუყვარდება მშვენიერი პამინა და გადაწყვეტს, გაათავისუფლოს იგი. სამი გენიოსი ტამინოს გზას უჩვენებს ზარასტროს სასახლემდე.

ტყის კაცი პაპაგენო ტამინოს მიჰყვება. ტამინოს ჯადოსნური ფლეიტა აქვს ავი სულების დასაფრთხობად, ხოლო პაპაგენოს – ჯადოსნური ზანზალაკები. თუ სირთულე შეხვდებათ, თავიანთ ჯადოსნურ საკრავებს ააჟღერებენ და განსაცდელს თავს დააღწევენ. პაპაგენო ჩუმად შეაღწევს ზარასტროს სასახლეში და პამინას ტამინოზე მოუთხოვს. ისინი სიხარულით მიიჩქარიან ტამინოსკენ, რომლის ჯადოსნური ფლეიტის ხმა ისმის პასუხად, პაპაგენო თავის ზანზალაკებს ააჟღერებს. საბოლოოდ, ირკვევა, რომ ზარასტრო სიბრძნის, სინათლისა და სიკეთის სამეფოს ქურუმია, რომელსაც ღამის დედოფალი ებრძვის. ღამის დედოფალი გამოეცხადება პამინას და სთხოვს ზარასტროს განადგურებას. პამინა სასონარკვეთილებაშია. მის საშველად სამი გენიოსი ბიჭუნა მოდის. ოპერას ბედნიერი დასასრული აქვს. სიკეთე იმარჯვებს და ბევრი სირთულის მიუხედავად, ტამინო და პამინა დაქორწინდებიან. ტყის კაცი პაპაგენოც შეხვდება თავის რჩეულ პაპაგენას და ბედნიერია.



პაპაგენო და პაპაგენა

ახლა კი განმეორებით მოუსმინე ფრაგმენტებს ოპერიდან და ამოიცანი, რომელი ეპიზოდია: არია, დუეტი, ტრიო, სად არის ჩართული ცეკვა და სად უღერს გუნდი.

დააკვირდი სანოტო ჩანაწერს და მასწავლებლის დახმარებით იმღერე სამი გენოსის ტრიო.

მალე ცისკარი დადგება

Bald prangt, den Morgen zu verkünden

1. Bald prangt, den Mor- gen zu ver- kun- den, die Sonn- auf- ge- hen.

Bahn; bald muß die Nacht, die dü- sel, schwin- ken, der Tag der Weis- heit

nah. O heil- der Frie- de, zeig her- nie- der, lehr in der

Men- schen Her- zen wie- der, dann ist die Erd ein Him- mel- reich, und

Stirb- E- che sind Göt- tern gleich, und Stirb- li- che sind Göt- tern gleich.

2. Dir grüßte aus tausend Augen wider
dein Bild, o Lichtesquell.
In Perlen fiel der Tau hernieder
und grüßte dich rein und hell.
Dir dankt, o hehre Lebenssonne,
die stille Bäume Lichteswonne;
dir dankt in frohbewegter Brust
die neu erwachte Lebenslust!

3. Schwing frei dich von dem Rand der Ruh:
empor in Ätherblau!
Beglückt im Reich des Lichtes werde
die ärmste, tiefste Au.
Wir werfen ab der Nichte Sorgen;
des besten Tages schöner Morgen,
er bricht in jeder Seele an,
er führt sie froh auf Lichter Bahn.

კოლორატურული სოპრანოსათვის დამახასიათებელია გასაოცარი ვირტუოზულობა, მაღალი რეგისტრი, მოქნილი პლასტიური სვლები, რომლებიც მაქმანებივით ამშვენებს მომღერლის პარტიას.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“

ამოიცანი და შეასრულე რიტმული სურათი:



დააკვირდი ფრაგმენტს რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“ – პოეტი გრენგუარის თხრობას (კათედრალების ეპოქა). შემდეგ, ფრაგმენტს რუჯერო ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზებიდან“. წაიკითხე ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და ამოიცანი პერსონაჟი. მოსმენის შედეგად დაადგინე, რომელ ჟანრს მიეკუთვნება თითოეული ფრაგმენტი – ოპერას თუ მიუზიკლს.

რიკარდო კორანტეს მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ პოეტი გრენგუარი, რომელიც ნაწარმოებში მთხრობელიც არის და მოქმედი გმირიც, მონოლოგში „Le Temps Des Cathédrales“ (კათედრალების ეპოქა) მოგვითხრობს:



– დიდი ხნის წინათ, ნოტრდამის ტაძართან, ტრუბადურები* და ქუჩის მუსიკოსები სიყვარულზე მღეროდნენ. ჩვენს ათასწლეულში, მსახიობები, მოძრაობითა და რითმით, კვლავ გადმოვცემთ სიყვარულის შესახებ უძველეს ისტორიას.

– ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზებში“, ჯამბაზი მღერის თავის მიძიმე ბედზე. იგი იძულებულია, სპექტაკლში ითამაშოს და ილიმებოდეს მაშინაც კი, როდესაც მისი სული და გული ტირის.



მოუსმინე ტერცეტს „Belle“ (ლამაზმანი) მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“, სადაც გმირები სიყვარულს უხსნიან ესმერალდას ჯერ სიმღერის ჩანაწერს სპექტაკლიდან და შემდეგ საკონცერტო შესრულებით. ამოიცანი და დაასახელე მამაკაცთა სასიმღერო ხმები.



მიუზიკლი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ შევიდა „გინესის რეკორდების წიგნში“, როგორც ყველა დროის ყველაზე წარმატებული მიუზიკლი. პრემიერის პირველივე წელს უამრავჯერ დაიდგა მსოფლიოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე.



ტრუბადური – შუა საუკუნეებში პოეტი-მომღერალი რაინდი.

ორკესტრი

გაიხსენე სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობა.



აქ ინსტრუმენტთა ოთხი ჯგუფია გაერთიანებული: სიმებიანი-ხემიანი, ხის ჩასაბერი, ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი.

სიმებიანი-ხემიანი საკრავთა ჯგუფს მიეკუთვნება: ვიოლინო, ალტი, ჩელო კონტრაბასი.

ხის ჩასაბერი საკრავებია: ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი და ფაგოტი.

ლითონის ჩასაბერი საკრავებია: ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა.

დასარტყამი საკრავებია: ლიტავრები, დიდი და პატარა დოლი (დაფდაფი), თეფშები, სამკუთხედი, ქსილოფონი, კასტანეტები და სხვ.

ორკესტრს შეიძლება დაემატოს პატარა კლავიშებიანი დასარტყამი ინსტრუმენტი – ჩელესტა, სიმებიანი საკრავი – არფა, კლავიშებიანი საკრავი – როიალი, კლავიშებიანი სასულე საკრავი – ორგანი.

საოკესტრო ნაწარმოები იწერება **პარტიტურის** სახით, რომელშიც თითოეული საკრავის პარტია* ცალ-ცალკეა გამოწერილი. დირიჟორს – პარტიტურა, ხოლო ინსტრუმენტალისტებს თავ-თავიანთი პარტიების ნოტები უდევთ პულტებზე (ნოტების დამჭერ საყრდენებზე). საორკესტრო პარტიტურის გარდა, არსებობს საგუნდო და საოპერო პარტიტურაც. პარტიტურის საფორტეპიანო ვარიანტს **კლავირი** ეწოდება.

პარტია – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ის ნაწილია, რომელიც დაწერილია რომელიმე ერთი ხმისათვის ან ერთი ინსტრუმენტისათვის. ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებში გამოარჩევენ სოლო ვოკალურ, საგუნდო და საორკესტრო პარტიებს.



მოისმინე ორი ფრაგმენტი ვაგნერის ოპერა „ზიგფრიდიდან“ და ხასიათობრივად შეადარე ისინი.



1. რა დატვირთვას სძენს უროს ხმას საორკესტრო თანხლება?
2. რას შეიძლება ასახავდეს მუსიკა?
 - ა) ბრძოლის სცენას;
 - ბ) დღესასწაულის სცენას;
 - გ) ბუნების პეიზაჟს.
3. რა როლი აქვს საკრავებს?



„ზიგფრიდის იდილია“ – მთავარი მოქმედი გმირის ზიგფრიდის მდინარე რაინზე გასეირნების სცენას და ბუნებასთან მის იდილიას ასახავს.



„ზიგფრიდის იდილია“ ზიგფრიდის მდინარე რაინზე გასეირნების სცენა



„ვალკირიების ფრენის სცენას“ ვაგნერის ოპერიდან „ვალკირიები“



მოუსმინე „ვალკირიების ფრენის სცენას“ ვაგნერის ოპერიდან „ვალკირიები“.



1. რა დატვირთვა აქვს ამ ფრაგმენტში ორკესტრს – მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო?
2. როგორ გადმოიცემა საორკესტრო პარტიაში* სცენის შესატყვისი შინაარსი? პიქტოგრამებით ჩანერე ეპიზოდი „ვალკირიების ფრენა“ – ჩანანერში ცალ-ცალკე აღნიშნე თემა და თანხლება.



მოუსმინე ვაგნერის ოპერა „ლოენგრინის“ შესავალს.

საორკესტრო პარტია გადმოსცემს ციური, უსხეულო რაინდის დედამიწაზე თანდათან დაშვებას და ხორცშესხმას, მეზრდოლ რაინდად ქცევას.

ინსტრუმენტთა რომელი ჯგუფის გამოყენებითა და ხერხებით (რეგისტრი) აღწევს ამას კომპოზიტორი.

რიჰარდ ვაგნერი (1813 ლაიფციგი – 1882 ვენეცია) – გერმანელი საოპერო კომპოზიტორი, ოპერის ჟანრის რეფორმატორი, დირიჟორი და დრამატურგია (საკუთარი ოპერების ლიბრეტოს ავტორი). მისი ოპერების პერსონაჟები შუა საუკუნეების სკანდინავიური და გერმანული მითოლოგიის ღმერთები და გმირები არიან. ამ ნაწარმოებებში ყველა გმირს, საგანს, გრძნობას თავისი ლაიტმოტივი აქვს.

ვაგნერმა დაწერა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სოლო არია, ის ჟღერს ბრუნჭილდას მსხვერპლშენიერვის სცენაში, ოპერა „ღმერთების სიკვდილში“. არია 15 წუთის განმავლობაში გრძელდება. ვაგნერს ეკუთვნის ყველაზე გრძელი ოპერა „ნიურნბერგის მაისტერზინგერები“, რომელიც 5 საათზე მეტ ხანს გრძელდება.

გენიალური კომპოზიტორის ოპერების დადგმისათვის გერმანიის ქალაქ ბაიროითში აშენდა საოპერო თეატრი.

ვაგნერი მეგობრობდა გამოჩენილ უნგრელ კომპოზიტორ ფერენც ლისტთან. ლისტის ქალიშვილი კოზიმა ვაგნერის მეუღლე იყო.



რიხარდ ვაგნერი

ეს საინტერესოა:


პარტიტურა – 1855 წელს ვაგნერი მიიწვიეს ლონდონის ფილარმონიაში რამდენიმე კონცერტის ჩასატარებლად. იგი ლონდონში გამოჩენისთანავე კრიტიკის ქვეშ მოექცა. ლონდონელებს აღიზიანებდათ, რომ ვაგნერი ბეთჰოვენის სიმფონიებს ზეპირად დირიჟორობდა. მას მიუთითეს, რომ ეს დიდი უპატივცემულობა იყო ბეთჰოვენისადმი. შემდეგ კონცერტზე პარტიტურა ნამდვილად იდო პიუპიტრზე. კონცერტი წარმატებული იყო. მუსიკისმცოდნეები გარს შემოეხვივნენ ვაგნერს.

– ჩვენ ხომ ვამბობდით! ეს სულ სხვა ჟღერადობაა! ბეთჰოვენისებური ჟღერადობა. როგორ არაჩვეულებრივად შეასრულეთ „სკერცო“! რა კარგად ჟღერდნენ ალტები... – ამ სიტყვებით ერთ-ერთმა მუსიკისმცოდნემ გადაშლილი პარტიტურა აიღო და ნახა, რომ ეს იყო ჯოაკინო როსინის „სევილიელი დალაქის“ პარტიტურის საფორტეპიანო ვარიანტი – კლავირი, რომელიც პიუპიტრზე თავდაყირა იდო.

რეფორმა – გრადაქმნა, შეცვლა, გადაკეთება.

მუსიკალური ანტრაქტი და კულმინაცია

დააკვირდი ნახატს, ხელით გამოსახე რიტმი, ფეხით – მეტრი.



იმღერე და გაეცანი ბანის გასაღებში დამატებით საზებზე დაწერილ ნოტებს.



ოპერას ხსნის უვერტიურა – საორკესტრო შესავალი, რომელიც ოპერის მთავარ იდეას და შინაარსს განსაზღვრავს (მაგალითად, გავიხსენოთ უვერტიურები ოპერებისათვის „ლოენგრინი“, „სევილიელი დალაქი“). ზოგიერთ შემთხვევაში საორკესტრო პარტია ჩართულია მოქმედებებს შორისაც. ასეთ ჩანართს **მუსიკალური ანტრაქტი** ეწოდება. იგი მომდევნო მოქმედების შინაარსს გადმოსცემს. მაგ., ფრანგი კომპოზიტორი ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენში“ მუსიკალური ანტრაქტი მოცემულია ყოველი მოქმედების წინ. III მოქმედების ანტრაქტი გადაიზრდება განთიადზე მთებში მსვლელობის სცენაში.

ახლა კი მოუსმინე „კარმენის“ ჯერ III, შემდეგ IV მოქმედების მუსიკალურ ანტრაქტებს.



1. რა განწყობაა მოცემული მუსიკაში და რომელი ინსტრუმენტებით არის იგი გადმოცემული?
2. რა ემოციით არის დატვირთული მუსიკა და რას შეიძლება ასახავდეს?

ჟორჟ ბიზე (1838 პარიზი – 1875 პარიზი) გენიალური ფრანგი კომპოზიტორია, მოღვაწეობდა პარიზში. მუსიკალური თეატრი მისი შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. განსაკუთრებით პოპულარულია ოპერა „კარმენ“, რომლის ლიბრეტოს საფუძვლად დაედო ფრანგი მწერლის, პროსპერ მერიმეს იმავე სახელწოდების ნოველა. ბიზეს ნაწარმოებებიდან აგრეთვე ცნობილია ოპერა „მარგალიტის მადიებლები“, სიმფონია დო მაჟორი, მუსიკა ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლისათვის „არლელი ქალი“.



ჟორჟ ბიზე



მოუსმინე ფრაგმენტს ვერდის ოპერა „აიდადან“, სადაც სადღესასწაულო სცენაა გადმოცემული – მეომართა გამარჯვებით დაბრუნება ბრძოლის ველიდან. ამასთან დაკავშირებით ჟღერს ტრიუმფალური მარში, რომელიც ოპერის კულმინაციურ ნაწილშია ჩართული.



მეომართა გამარჯვებით დაბრუნება ბრძოლის ველიდან, ოპერა „აიდა“.

საორკესტრო პარტიაში რომელი ინსტრუმენტები ჟღერს ყველაზე გამომსახველად და მიჰყავს თემა?

საორკესტრო პარტია ოპერებში შეიძლება თანხლებას უწევდეს ცაბალეტო – საცეკვაო სცენას.



მოუსმინე ფლეიტის სოლოს გლუკის ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკე“.

გერმანელი კომპოზიტორ ქრისტოფ ვილიბად გლუკის ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკე“, საფუძვლად დაედო მითი ორფეოსის შესახებ, რომლის მეუღლე ევრიდიკე, გარდაცვალების შემდეგ ხვდება მიწისქვეშეთში, ჰადესის სამეფოში. მითის თანახმად, ღმერთები ნებას დართავენ ორფეოსს, ჩავიდეს ჰადესთან და გამოიყვანოს ევრიდიკე მიწისქვეშეთიდან. ორფეოსი შეაღწევს ნეტარ სულთა სამფლობელოში, ელიზიუმის მინდვრებში, სადაც ევრიდიკეა. ამ ეპიზოდში ჟღერს ფლეიტის სოლო სიმებიან საკრავთა თხზლებით, რომელიც „გლუკის მელოდიის“ სახელითაა ცნობილი.



ორფეოსი და ევრიდიკე

ქრისტოფ ვილიბად გლუკი (1714 ერასბახი – 1787 ვენა) – ოპერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეფორმატორი*, გერმანელი კომპოზიტორი.

მან გააერთიანა ოპერაში მუსიკა და დრამა. საოპერო სპექტაკლის ყველა ელემენტი შერწყმული და დაკავშირებულია შინაარსთან. არია აღარ არის საკონცერტო ნომერი, რომელიც მხოლოდ მომღერლის ვოკალური ვირტუოზულობის დემონსტრირებას ახდენს. იგი ორგანულაა ჩართული მოქმედებაში და გმირის განცდებს გადმოსცემს. რეჩიტატივი გამომსახველი, მღერადია. არიები, რეჩიტატივები და გუნდები ინარჩუნებს დამოუკიდებელ ფუნქციას და ამასთანავე, დიდ დრამატულ სცენებში ერთიანდება.



ქრისტოფ გლუკი

„დაისი“

წაიკითხე ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ ლიბრეტო. წინასწარ დარიგებული ფურცლებზე, მოქმედი პირების სახელებთან დაწერე შესაბამის საოპერო ხმები.

მოისმინე ფრაგმენტები: მალხაზის არია, ცანგალას კუპლეტები, მაროს არია, კიაზოს სიმღერა და დაადგინე, რამდენად სწორი იყო შენი ვარაუდი.

მოქმედი პირები:

მოქმედი პირები:
მალხაზი (ჯარისკაცი)
მარო (გლეხის გოგონა)
ცანგალა (მესტვირე)
კიაზო (ასეულის ასისტავი)

ლიბრეტო

მოქმედება პირველი:

სოფელი საეკლესიო დღესასწაულის, ხატობისათვის ემზადება, საღამო ხანია. ნანო მოუთმენლად ელის დღესასწაულის დაწყებას. მისი მეგობარი მარო კი მონყენილია, რადგან, დიდი ხანია, არაფერი ისმის სატრფოს – მალხაზისაგან, რომელიც შორეულ მხარეს გაემგზავრა. მაროს მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ იგი საკუთარი ნების წინააღმდეგ დანიშნულია ასისტავ კიაზოზე.

ნანო მაროს მალხაზის ჩამოსვლას ამცნობს, რომელიც შორიდან მოიმღერის. შეხვედრის დროს, მალხაზი მაროს დანიშვნის თავზარდამცემ ამბავს იგებს. ხატობის დღესასწაულზე ხალხი მხიარულობს. გლეხის ბიჭი ტიტო და მესტვირე ცანგალა ერთმანეთს შაირობაში ეჯიბრებიან, რომელშიც ტიტო იმარჯვებს. გაბრაზებული ცანგალა ჩხუბს წამოიწყებს. თანასოფლელები მათ აშველებენ.

ნანოს წრეში მარო და მალხაზი შეჰყავს... ცანგალა ემუქრება ნანოს, რომ ამ ამბავს კიაზოს აცნობებს. ნანო თავიდან იცილებს აბეზარ მესტვირეს.

ისმის ზარების რეკვა. ხალხი ეკლესიისაკენ მიემართება. მალხაზი მაროსთან განმარტოვებას ლამობს, მაგრამ მარო ხელიდან უსხლტება. მალხაზი დარდს მიეცემა.

მოქმედება მეორე

დღესასწაული ეკლესიის ეზოში გრძელდება. ცანგალამ კიაზოს მაროსა და მალხაზის შეხვედრის ამბავი შეატყობინა. კიაზო, შურისძიების გრძნობით ანთებული, ღვინოს ეძალება.

მარო აღელვებულია, რადგან მეტოქეების შეხვედრას ელის. ნანო შეყვარებულებს კიაზოს მოახლოებას ატყობინებს. მაროს და ნანოს თხოვნით, მალხაზი მათ გაეცლება.

მოულოდნელად განგაში იწყება. სამშობლოს მტერი შემოესია და კიაზო ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

მოქმედება მესამე

ცანგალასგან მაროსა და მალხაზის შეხვედრის ამბის გაგების შემდეგ კიაზო

მაროს პასუხს ითხოვს. მარო აღარ მალავს თავის გრძნობებს მალხაზისადმი. მალხაზის გამოჩენა ვითარებას ამწვავებს. კიაზო შეეყვარებულთა სასწრაფოდ განშორებას ითხოვს. იმართება ორთაბრძოლა. მოლაშქრეთა სიმღერის გაგონებაზე მეტოქეები... წუთიერად გონს მოეგებიან კიაზო მახვილით განგმირავს მალხაზს. მარო დასტირის სატრფოს. ხალხი კიაზოს კიცხავს და სამშობლოს დასაცავად მიემართება.



მოუსმინე სცენას – კიაზოს მიმართვა ხალხისადმი და გუნდი „თავისუფლება“. დაადგინე, ლიბრეტოს მიხედვით, რა ეპიზოდში შეიძლება ჟღერდეს ასეთი მუსიკალური ფრაგმენტი.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს საფუძვლად დაედო სწორედ ეს ეპიზოდი. გამოჩენილმა ქართველმა საგუნდო კომპოზიტორმა იოსებ კეჭყაყაძემ, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის მიხედვით შექმნა ჰიმნი!

კლასელებთან ერთად იმღერე, საქართველოს ჰიმნის გამარტივებული ვარიანტი სამ ხმაში. ამოიცანი ბანის გასაღებში დამატებით ხაზებზე ჩანერილი ნოტები.

ჩუ-მა ხა - ტყა-ა ხა - მუთა - ბღოთ ხა-ხა - ტყუ მთუ-ღო ქვე - ყა - ნა

ჩუ-მა ხა - ტყა-ა ხა - მუთა - ბღოთ ხა-ხა - ტყუ მთუ-ღო ქვე - ყა - ნა

იხ. დანართი.

ზაქარია ფალიაშვილი (1871-1933) ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწეა. ქართული ხალხური მუსიკისა და მსოფლიო მუსიკალური ტრადიციების შერწყმით საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ მუსიკალურ კულტურას.

ფალიაშვილი ახალგაზრდობის წლებიდანვე გამოირჩეოდა აქტიური მოღვაწეობით. ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლის პერიოდში, შექმნა ქართველ სტუდენტთა გუნდი, მართავდა ფოლკლორულ საღამოებს. ფალიაშვილმა დააარსა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ და სათავეში ედგა ამ საზოგადოებასთან არსებულ სამუსიკო სკოლას. იგი აგროვებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და გადაჰქონდა ნოტებზე. ფალიაშვილმა გამოსცა კრებული „40 ქართული ხალხური სიმღერა“. მის მიერ ჩანერილი საგალობლები და ხალხური სიმღერები საუკეთესოა სანოტო ჩანაწერებს შორის.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. კომპოზიტორის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, აგრეთვე ქუჩები თბილისსა და ქუთაისში.

მიუსადაგე ხმის ტემბრი – შემაჯამებელი გაკვეთილი

დააკვირდი ფოტოებ, სხვადასხვა საოპერო გმირების გამოსახულებით და შეურჩიე თითოეულს ქვემოთ მოცემული სიტყვები. იმსჯელე, როგორი ხმის ტემბრი შეიძლება ჰქონდეს თითოეულ მათგანს.

1. მრისხანე, ცეცხლოვანი;
2. ლამაზი, შეუპოვარი;
3. ამაყი, დამოუკიდებელი;



4. მეოცნებე ჭაბუკი;
5. მამაცი მებრძოლი;
6. ბრძენი ქურუმი.



მოუსმინე პერსონაჟთა სოლო პარტიებს და მიუსადაგე ისინი სურათებს.

მუსიკალური ქუდი – შემაჯამებელი გაკვეთილი

სატელევიზიო გადაცემის ქუდი ქმნის განწყობას და გარკვეულწილად დაკავშირებულია მოცემული ტიპის გადაცემის შინაარსთან.

სიტყვა **ლოგოტიპი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ლოგოს“ რაც „სიტყვას, დას“ ნიშნავს. მუსიკალური ლოგოტიპი წარმოადგენს მოკლე მუსიკალურ ფრაზას ან მოტივს, რომელიც თან ახლავს რაიმე „ბრენდის“ გამოჩენას, როგორც აუდიო, ისე ვიდეო წარდგენის შემთხვევაში.

მუსიკალური რეკლამა ქმნის დადებით, პაზიტიურ ფონს და კიდევ უფრო ამძაფრებს მონოდედებული ინფორმაციით მიღებულ შთაბეჭდილებას.



მოისმინე ქუდი და ამოიცანი რა ტიპის შეიძლება იყოს მისი შესაბამისი გადაცემა.

მოუსმინე ფრაგმენტებს: დონიცეტის ოპერა „ლუჩია დე ლამერმურიდან“ – ლუჩიას არიას; ვალკირიების ფრენის სცენას ვაგნერის ოპერიდან „ვალკირიებიდან“; ინტროდუქციას „კათედრალების ეპოქა“, რ. კოჩანტეს მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“.

რა ტიპის გადაცემის ქუდისათვის გამოიყენებდი მათ.

1. გადაცემა – „ჩვენ ვუსმენთ ოპერას“;
2. გადაცემას სამეცნიერო ფანასტიკის შესახებ.
3. შემეცნებით-გასართობ გადაცემას, „ევროპის ულამაზესი ქალაქები“.

მოცემული სატელევიზიო გადაცემებისათვის კი შეარჩიე მუსიკალური ფრაგმენტები.

მუსიკალური ფრაგმენტები

1. ლამის დედოფლის არია მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტიდან“;
2. ფიგაროს კავატინა როსინის „სევილიელი დალაქიდან“;
3. მამბო ბერნსტაინის მიუზიკლ „ვესტსაიდის ისტორიიდან“;
4. სიმღერა „დო, რე, მი“ როჯერსის მიუზიკლ „მუსიკის ჰანგებიდან“.

სატელევიზიო გადაცემები

1. მუსიკალური გადაცემა „საოპერო ხმები“;
2. გადაცემა „სტილისტი“;
3. საბავშვო მუსიკალურ-შემეცნებითი გადაცემა;
4. დღესასწაულები ლათინური; ამერიკის ქვეყნებში.